თანამედროვე ტექნოლოგიებმა და მოწყობილობებმა ნებისმიერი ასაკის ადამიანებს თავად მისცა საშუალება, გადაიღონ ფილმები, დაამონტაჟონ, ვიზუალური ეფექტები მიანიჭონ და შეცვალონ ხმა. იუთუბის გზამკვლევეების მიხედვით სკოლის მოსწავლეს შეუძლია სპეცეფექტების შექმნა. ბავშვების სათანამშო დრონების ხარისხი რამდენიმე წლის წინანდელი კინოკამერის ხარისხს უტოლდება და ა.შ.

გახდება თუ არა კინო სამუბეუმი ექსპონატი? ამ მოსაზრებას უფრო და უფრო ხშირად გამოთქვამენ ცნობილი რეჟისორები და კინოკრიტიკოსები. ჯერ არ არის საკმარისი დრო გასული იმისათვის, რომ კინოს „განაჩენზე“ ვისაუბროთ, შეიძლება მოვიდეს დრო და ადამიანებს მობეზრდეთ სახლში ჯდომა და ალგორითმების ნაკარნახევი „პლასტმასის“ ფილმების ყურება; ან პირიქით, შეიძლება კინოთეატრი მართლა მუზეუმად გადაიქცეს და მომავლის ახალგაზრდებმა კინოეკრანებზე გასულ ფილმებს სმარტფონებით გადაუღონ და ლაივ რეჟიმში გამოაქვეყნონ სოციალურ ქსელებში. ვინ იცის...

*საკვანძო სიტყვები: კინოინდუსტრია, ნეტფლიქსი, ონლაინ სტრიმერები, მაყურებელი*

2022 წელს, კანის 75-ე კინოფესტივალზე მოხვდი, კინოხელოვნების დაბადებიდან 127 წლის შემდეგ, სადაც კინოს მომავალი მთავარი განხილვის საგანი იყო. კანის კინოფესტივალი, კინოსამყაროს მექა, დღემდე ჯიუტად დგას თავის პრინციპზე – სხვა ფესტივალებისა და ამერიკული ოსკარისგან განსხვავებით, კანის კინოფესტივალზე მონაწილეობის მიღება არ შეუძლია ფილმებს, რომლებიც ონლაინ პლატფორმების დაკვეთითაა შექმნილი, ანუ ფილმები, რომლებიც „ცისფერ ეკრანებზე“ ვერ გამოვა და მაყურებელს მხოლოდ სხვადასხვა ციფრულ მოწყობილობაში შეუძლია მათი ნახვა.

პანდემიის შემდეგ, კინოთეატრების ფიზიკური არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, ონლაინ პლატფორმების მომხმარებლების რაოდენობა კი მთელ მსოფლიოში გაორმაგდა. ონლაინ პლატფორმები პირდაპირი გზით ანადგურებს კინოინდუსტრიას, როგორც ხელოვნებას. ასევე ბიზნესს. მილიონობით კინოპრო-



ფესიონალი კი ნელ-ნელა თავის ფუნქციას კარგავს. ეს იმდენად მტკივნეული საკითხია დღევანდელი კინოსთვის, რომ წელს, კანის 76-ე კინოფესტივალზე, გაიმართა დოკუმენტური ფილმის – CHAMBRE 999 („ოთახი 999“-ის პრემიერა. ფილმი სასტუმროს ნომერშია გადაღებული, ფილმის რეჟისორი – ლუბნა პლეიოუსტი, თანამედროვე კინოს ცნობილ რეჟისორებთან პირისპირ საუბარში აღნიშნავს კინოს მომავალს, ფილმის მთავარი შეკითხვა პირდაპირ ეხმიანება ჩემი კვლევის საგანს – „კინო არის ენა, რომელიც მალე გაქრება? კინო არის ხელოვნების ფორმა, რომელიც კვდება?“.<sup>1</sup>

ერთ-ერთ სტატიამ<sup>2</sup> ვკითხულობთ, რომ რეჟისორების უმეტესობა ფილმის „ოთახი 999“ მიმართ პესიმისტურად არის განწყობილი, თუმცა მსგავსი დისკუსიების დროს ბევრი კინოპროფესიონალის აზრით, კინოს დაბადების დღიდან განადგურება ემუქრება – ეს შიში გაჩნდა გასული საუკუნის 20-იან წლებში, როდესაც კინოში გახმოვანება (ხმა) შემოვიდა. კინოს „გაქრობის“ ეშინოდათ გასული საუკუნის 50-იან წლებშიც, როდესაც ტელევიზია გაჩნდა და ადამიანებს სახლიდან გაუსვლელად შეეძლოთ ფილმების ნახვა. XX საუკუნის მიწურულს, 90-იან წლებში კი, DVD (ციფრული ოპტიკური დისკი) გამოჩნდა ბაზარზე, ადამიანებს ფილმების ყიდვა ან ქირაობა უკვე მაღაზიაში შეეძლოთ და თავიანთ სახლებში აწყობდნენ კინოჩვენებებს ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ერთად. თუმცა, რომ არა DVD-ის მაღაზიაში მუშაობის გამოცდილება, კინოსამყაროს არ ეყოლებოდა თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი რეჟისორი – კვენტინ ტარანტინო.

საუკუნეების განმავლობაში, ამ დაბრკოლებების მიუხედავად, კინომ გააგრძელა არსებობა და ფუნქციონირება. 2020 წლის გლობალურმა პანდემიამ სერიოზული საფრთხის ქვეშ დააყენა კინოს და კინოთეატრების არსებობა იმ ფორმით, რა ფორმითაც ის მთელი საუკუნის განმავლობაში არსებობდა. პანდემიის დაწყებიდან ერთ თვეში ონლაინ გამომწერების რაოდენობა ამერიკაში 73%-ით გაიზარდა, ევროპაში – 50%-ით.<sup>3</sup>

წინა საუკუნეში კინოხელოვნებას ადამიანების კულტურულ, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე უდიდესი ზეგავლენა

<sup>1</sup> MK2 Films Catalogue – Room 999.

<sup>2</sup> Macnab, Playoust, Room 999.

<sup>3</sup> How Covid-19 is changing online streaming behavior globally.

ჰქონდა. კინო, განსაკუთრებით კი ჰოლივუდური კინო, ცხოვრების წესს კარნახობდა ადამიანებს. პირველი და მეორე მსოფლიო ომის დროს კინო ერთ-ერთ მთავარი პროპაგანდისტული იარაღი იყო.<sup>4</sup>

კინოს ზეგავლენის მთავარი მიზეზი ალბათ ის არის, რომ კინოს ადამიანებისთვის არ ჰქონდა მხოლოდ გასართობი ფუნქცია, ის იყო იმ დროისთვის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მედიასაშუალება. ბეჭდური მედიის და რადიოსგან განსხვავებით, კინო ფლობდა მაგიურ შესაძლებლობას, ადამიანებისთვის ეჩვენებინა მოდელირებული რეალობა, მაღალი მხატვრული ხერხებით. წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელიც გაზეთში კითხულობს ათასობით ჯარისკაცის ტრაგიკული დაღუპვის ამბავს, ან იმავე ამბავს დიქტორის მონოტონური ხმით ისმენს რადიოდან და წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელიც დიდ ეკრანზე უყურებს ოსტატურად გადაღებულ, დამონტაჟებულ, ტრაგიკული მუსიკით გაფორმებულ და მსახიობების მიერ ოსტატურად შესრულებულ თუნდაც ერთი ჯარისკაცის, ადამიანის დაღუპვას.<sup>5</sup>

სამწუხაროდ, იგივე შეიძლება ითქვას ჩვენს თანამედროვეობაზეც – როდესაც ყოველდღიურად ვეცნობით სტატისტიკას თუ რამდენი ბავშვი დაიღუპა უკრაინაში საომარი მოქმედებების შედეგად, წამიერად გული გვიწუხდება, მაგრამ თუკი სადმე ვიდეოს წავაწყდებით, სადაც დაჭრილი, დაშავებული და დასისხლიანებული ბავშვები ჩანან, ეს კადრები ჩვენზე დიდ ზეგავლენას ახდენს და ნანახის თავიდან ამოგდება შეუძლებელია.

სოციალურმა ქსელები, სმარტფონები და ციფრული ცხოვრება (რომელიც შენგან დამოუკიდებლად, შენი არჩევანის მიუხედავად) გვაწვდის მუდმივ ვიზუალურ ინფორმაციას, აღნიშნული კი ადამიანებს უკარგავს ფილმების ნახვის მოთხოვნილებას. რა საჭიროა საომარი ფილმის შესაქმნელად მილიონობით დოლარის და წლების შრომის დახარჯვა, როდესაც ადამიანებს პირდაპირ ეთერში შეუძლიათ ნახონ ომის საშინელება სამყაროს ნებისმიერ კუთხეში, სულ რამდენიმე წამში.

დროის ფაქტორს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება კინოს როლის შესუსტებაში, თანამედროვე სამყაროში ადამიანებს ენა-

<sup>4</sup> The Propaganda Film - How Cinema Can Change The World.

<sup>5</sup> Boris' Death from The Cranes Are Flying – 1957.

ნებათ საკუთარი ცხოვრების 2-3 საათი იმისთვის, რომ ფილმი ნახონ, როდესაც შეიძლება დღის განმავლობაში, სოციალური ქსელების „სქროლვაში“ და უშინაარსო ვიდეოების (Reels) ნახვაში ბევრად მეტი დრო დახარჯონ.

დროის არქონასთან ერთად, ადამიანებს უჭირთ კონცენტრაცია, სმარტფონებზე მათი დამოკიდებულების სტატისტიკა უფრო და უფრო იმატებს, ტერმინიც კი გაჩნდა ფსიქოლოგიაში – [ნომოფობია](#). იმდენად დიდი ადგილი უჭირავს სოციალურ ქსელებს ადამიანების ცხოვრებაში, რომ მათგან რამდენიმე საათი გათიშვა და ფილმის ნახვა შეუძლებელი ხდება. *„ყველაფერი თითქოს შენს წინააღმდეგ მოქმედებს: გადახვევის ღილაკი ჭედავს, საპირფარეშო გეძახის, სამზარეულო გაცდუნებს. შიგადაშიგ ტელეფონზე შეტყობინებები მოვდის, ზარები შემოდის, ტიკ-ტოკი, ინფორმაცია. კიდევ რა ფილმში თამაშობს ეს მსახიობი? მოდი დავვუვლოთ. მოდი ტრეილერი ვნახოთ. მოდი მეგობარს მივწეროთ. ახლა დედა რეკავს და ა.შ. და ა.შ. ალარაფერს ვამბობ მომტირალ ბავშვებზე, ძაღლების ყეფაზე, მეზობლების ხმაურზე, და მრავალფუნქციურ ალექსაზე. როდესაც ისევ გახსენდება რომ ფილმს უყურებდი, უკვე ძილის დრო მოდის. ფილმის ნახვას ხვალ გააგრძელებ.“* (ჯეისონ კეჰე WIRED-თვის).<sup>6</sup>

მოკლედ რომ ვთქვათ, სოციალურმა ქსელებმა და სმარტფონებმა ადამიანებს ფილმების ნახვის მოთხოვნილება დაუკარგა, სერიალებმა კი – ჩაანაცვლა.

კინოს, როგორც ერთ-ერთი მთავარი მედია საშუალების, როლი თანდათან ტელევიზიამ შეასუსტა. განსაკუთრებით კი ომის შემდგომ პერიოდში, როდესაც ადამიანებს თავიანთ სახლში ჩუსტებით ჯდომა და კონსერვის ქილის სატელევიზიო რეკლამის ყურება უფრო დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა, ვიდრე დიდ ეკრანზე ეპიკური კინოსურათის ნახვა ადამიანებით სავსე დარბაზში. ეს იყო ომგამოვლილი ადამიანების ეგრეთწოდებული ისკეიპიზმი, იგივე არასასურველი რეალობიდან გაქცევა.

[ისკეიპიზმი](#) – ამ ტერმინს თანამედროვე სამყაროში სულ უფრო და უფრო ხშირად შეხვდებით და მოისმენთ. 21-ე საუკუნეში ინტერნეტმა და ზღვა ინფორმაციამ ადამიანებში მუდმივი შფოთვის შეგრძნება გაამძაფრა. ადამიანებს სულ უფრო და უფრო უჩნდე-

<sup>6</sup> Kehe, Nobody Knows.

ბათ რეალობიდან, ყოველდღიურობიდან გაქცევის სურვილი და ამით აიხსნება Tik-Tok-ის არანორმალური პოპულარობა, რომელზეც მილიონობით უშინაარსო ვიდეო იდება და ადამიანებს ეხმარება ტვინის გათიშვაში.

ისკეიპიზმის ფუნქციას ადრე ადამიანებისთვის კინო ასრულებდა, ჰოლივუდი, კინო ქარხანა, ყველა ჟანრის ფილმს აწარმოებდა ყველანაირი მაცურებლისთვის: კომედია, დეტექტივი, სამეცნიერო ფანტასტიკა, ვესტერნი და ასე შემდეგ, ფილმები, რომლებიც ადამიანებს რამდენიმე საათით ითრევდნენ თავიანთ სამყაროში და ავიწყებდნენ რეალობას.

გასული საუკუნის 90-იან წლებში განსაკუთრებით პოპულარული გახდა რომანტიკული კომედიები და ეგრეთ წოდებული საოჯახო ფილმები („თქვენთვის წერილია“, „ლამაზმანი“, „დედინაცვალი“, „მარტო სახლში“). ეს ფილმები იყო ერთი შეხედვით უბრალო ადამიანებზე და ყოველდღიურ ცხოვრებაზე, მსუბუქი დრამატიზმით და იუმორით გაკეთებული ფილმები, სადაც ადამიანები თავიანთ თავს ან საკუთარ ახლობლებს ამოიცნობდნენ.

21-ე საუკუნის დასაწყისში, სატელევიზიო სერიალების პოპულარობის ზრდასთან ერთად, ფილმებმა ნელ-ნელა დაკარგეს ისკეიპიზმის და ყოველდღიურობის ამსახველის ფუნქცია, რასაც სოციალური ქსელების არსებობამაც შეუწყო ხელი. ახალგამოსულ სერიალებზე სწრაფად ვრცელდებოდა ინფორმაცია, იდება რეიტინგები. ფილმებისგან განსხვავებით, სერიალები დროში გაწელილად გამოდის და მაცურებლებს მუდმივად უტოვებს აზარტის შეგრძნებას. ინტერნეტ სივრცე მოიცვა „სპოილერებმა“, კომენტარებმა, ფოტოებმა, ვიდეო ამონარიდებმა, „მემეებმა“. სერიალების ბუმი გარკვეულ სახალხო თამაშს დაემსგავსა – ვინ უფრო მეტ სერიალს ნახავდა, ვინ მიხვდებოდა შემქმნელების ჩანაფიქრს, რატომ უთხრა ეს ერთმა პერსონაჟმა მეორეს და ა.შ. ამას დაერთო ახალი კულტურის – „იუთუბერების“ შექმნა, რომლებიც ამა თუ იმ თემაზე, განსაკუთრებით კი პოპულარულ ტელესერიალებზე, დებდნენ მოკლე ვიდეოებს და მაცურებლებს უზიარებდნენ თავიანთ აზრებს სერიალის ამა თუ იმ სეზონსა და ეპიზოდზე. მსგავსს ვიდეოებს იუთუბზე მილიონობით ნახვა აქვს.<sup>7</sup>

<sup>7</sup>How Game of Thrones Should Have Ended.

გარდა იმისა, რომ ადამიანებს უკვე სახლიდან გაუსვლელად შეეძლოთ მოეძებნათ არა მხოლოდ სასურველი ჟანრული სერი-  
ალები, არამედ პირდაპირ პირადი ინტერესების ან პროფესიის  
მიხედვითაც, მილიონობით სერიალში აუცილებლად შეხვდებით  
სერიალებს — ექიმებზე, პოლიციელებზე, ბანკირებზე, კლერკებზე,  
ხელოსნებზე, მსახიობებზე და ა.შ., აღარაფერს ვამბობ დიასახლი-  
სებზე და მათ ყოველდღიურ პრობლემებზე შექმნილ სიუჟეტებზე.

ამასთან ერთად სერიალების შემქმნელებს ამბიციები გაუჩნ-  
დათ, მათი პროდუქტი ხარისხობრივად კინოს გასტოლებოდა, ამი-  
ტომ სულ უფრო და უფრო მეტი ცნობილი რეჟისორი, ოპერატორი,  
მხატვარი და, რაც მთავარია, მსახიობი უერთდებოდა სერიალებს,  
ისეთი დიდი მსახიობებიც კი, როგორც მერილ სტრიპია. ალბათ  
დიდმა სახელებმაც დაინახეს, რომ მაყურებელი ოსკარებზე მეტად  
[ემის](#) ჯილდოების თვლაზე გადავიდა. ხშირად მოისმენთ ფრაზებს  
— „ძალიან მაგარი სერიალია, კინოს ჰგავს“, „სერიალები ბევრად  
ჯობია ფილმებს“ და ა.შ.

კინოთეატრების შემოსავლებს თუ დააკვირდებით, ყველაზე  
მეტი გაყიდვა „მარველის“ კომიქსებს აქვს. ამ ფილმების პოპულა-  
რობის ბევრი მიზეზი არსებობს — „მარველის სამყარო“ გასული სა-  
უკუნის 60-იანი წლებიდან შეიქმნა, ჯერ კომიქსების სახით, შემდეგ  
ანიმაციური ფილმების და 21-ე საუკუნის დასაწყისში სრულმეტრა-  
ჟიანი მხატვრული ფილმები მოჰყვა. გარდა იმისა, რომ სუპერგ-  
მირებზე ფილმები საუკეთესო საშუალებაა ისკეიპიმისთვის, ათ-  
წლეულების მანძილზე ჩამოყალიბდნენ სუპერგმირები, რომელ-  
თა სახელები ალბათ უკვე ადამიანების კოლექტიურ ცნობიერშია  
გამჯდარი. ულევია მარველის გმირების და მათი ისტორიების რა-  
ოდენობა. ამიტომ მაყურებელმა ბუსტად იცის, რომ ფილმის ნახ-  
ვის შემდეგ რაღაც ახალს და სანახაობრივს ნახავს. ამ ფილმების  
პოპულარობას ხელს უწყობს ცნობილი და მაღალანაზღაურებადი  
მსახიობების, ვარსკვლავების ტანდემიც.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეს არის დღეს ყველაზე პოპულა-  
რული ფილმები, რომელთა სანახავადაც მაყურებლები კინოდარ-  
ბაზეებში მიდიან, რაც უკვე ძალიან დიდი იშვიათობაა, ჩამოთვ-  
ლილი მიზეზების გამო. ამ ფილმების ნახვის დროს, მე პირადად,  
როგორც პროფესიონალი, სერიალების ძალიან დიდ ზეგავლენას  
ვხედავ, ამ ფილმების შინაარსი სერიალების პრინციპით არის აგე-

ბული – გაგრძელება იქნება... რადგან მარველის ფილმები თითქმის ყოველწლიურად გამოდის. ყველა სცენა და კადრი თითქოს მაყურებლისთვის წინასწარვეა შექმნილი ონლაინ სივრცეში გადასაპორტირებლად – გიფებად, მემეებად და ტიკ-ტოკის ტრებად.

სამწუხაროდ, თანამედროვე ჰოლივუდის ფილმები, არამხოლოდ მარველის ნაწარმი, ესთეტიკურად ძალიან დაემსგავსა სერიალებს – მონტაჟით, მსახიობების თამაშის მანერით, ზედაპირული დიალოგებით და კლიშური გამოსახულებით. ავტორებს თითქოს ეშინიათ ამბის მოყოლის, ეშინიათ, სოციალური ქსელების სქროლვის სისწრაფეს შეჩვეულ ადამიანებს თვალი და გონება არ მოუდუნდეთ და ფილმებში ისეთ გაპრიალებულ სანახაობას და ისეთი სწრაფი მონტაჟის ხერხებს იყენებენ, მაყურებელი ვერც კი ასწრებს ფილმის აღქმას.

*„ნეტფლიქსის ექსუნთს ჩემს მეუღლესთან ერთად ვიზიარებ, ჩვენ განსხვავებულ პროფილებს ვიყენებთ, ამის მიუხედავად, პროფილები ერთმანეთში იხლართება, რადგან ჩვენ ხშირად ერთად ვუყურებთ ნეტფლიქსს. ჩემი პერსონალური ინფორმაციის ნახვის შემდეგ, როენა ფილდინგმა, Miss IG Geeks-ის დირექტორმა, თანადადმუქნებელმა და კონფიდენციალურობის კონსულტანტმა, თქვა, რომ მას შეეძლო ჩემი ინფორმაციით გამოეთვალა, რომ მე კაცთან მაქვს ურთიერთობა, ჩვენი ფინანსური შესაძლებლობა განესაზღვრა იმ მოწყობილობის მიხედვით, რომელსაც ვიყენებთ, ჩვენი რწმენები, ფასეულობები და კულტურული წარსული დაედგინა იმის მიხედვით, თუ რა კონტენტს ვნახულობდით ნეტფლიქსზე. მას შეეძლო ჩემი საცხოვრებელი სახლის მისამართის დადგენა ჩემი ინტერნეტ მისამართის მიხედვით.“* – წერს კეიტ ოფლაერტი WIRED-თვის).<sup>8</sup>

*„ნეტფლიქსზე მომხმარებლის ინფორმაციის გადამუშავება ასევე მოიცავს ანალიზს – რა ნახე და როდის ნახე, სად დააპუზე, სად გამორთე, რა მოწყობილობით ნახულობდი სტრიმს და სად იყავი ამ დროს. „ნებისმიერი ეს ინფორმაცია რაღაცას ამბობს შენს შესახებ“, – აღნიშნავს პეტ ვოლში, კონფიდენციალურობის კონსულტანტი, – „რეკომენდაციების შემოთავაზებასთან ერთად, ნეტფლიქსი ამ ინფორმაციას იყენებს იმის დასადგენადაც, თუ რატომ შეწყვიტა მაყურებელმა ფილმის ან სერიალის ყურება,*

<sup>8</sup> All the Ways.

შემდეგ კი ცდილობს მიღებული ინფორმაცია პროდუქტის გასაუმჯობესებლად გამოიყენოს“.<sup>9</sup>

ჰოლივუდის კრიზისთან ერთად, ნეტფლიქსის ძალაუფლება დღითიდღე უფრო იზრდება, ამის გამომწვევი მიზეზი მხოლოდ პანდემია და კინოთეატრების კრიზისი არ არის. ნეტფლიქსის მომხმარებლების რაოდენობა 220 მილიონს აღწევს, რაც იმას ნიშნავს, რომ ნეტფლიქსს წვდომა აქვს მილიონობით ადამიანის პირად ინფორმაციაზე, რის მიხედვითაც შეუძლია გამოთვალოს/გამოიცნოს, რისი ნახვა შეიძლება მოუნდეს მაყურებელს.<sup>10</sup>

ამიტომ არის, რომ ნეტფლიქსის პროდუქტი უკვე გაჭრილი ვაშლებივით ჰგავს ერთმანეთს, ერთი შეხედვით ყველაფერი მაღალი ხარისხითაა შექმნილი – კარგი გამოსახულება, მხატვრობა, საინტერესო იდეა, კარგი მსახიობები. ყოველი ახალი დეტექტივის ნახვის დროს შეგრძნება გრჩება, რომ ეს ფილმი უკვე ნანახი გაქვს და არაფერს ახალს არ გაძლევს და ემოციურ ზემოქმედებას შემუსავებული ფორმულები ვერ ახერხებენ. ეს იყო ერთ-ერთი მთავარი თემა კანის კინოფესტივალზე ჩასული პროფესიონალებისთვის. ისინი თვლიდნენ, რომ ფორმულებითა და ალგორითმებით გამოთვლილი ფილმები ვერ იქნება ნამდვილი ხელოვნება და შემოქმედება, რომ ალგორითმი ვერასდროს დაბადებს ისეთ რეჟისორებს, რომლებმაც შექმნეს კინოს ისტორია.

გახდება თუ არა კინო სამუზეუმო ექსპონატი? ამ მოსაზრებას უფრო და უფრო ხშირად გამოთქვამენ ცნობილი რეჟისორები და კინოკრიტიკოსები. „ზრდასრულ ამერიკელების 2/3 თვლის რომ მათ ურჩევნიათ ფილმების გამოსვლას ონლაინ სტრიმერებზე დაელოდონ, ვიდრე კინოში წავიდნენ“ – ეს IndieWire-ის ახალი სტატიის სათაურია. სტატია ამერიკული კვლევითი ორგანიზაციის Harris X – ის უახლეს გამოკვლევას ეყრდნობა.<sup>11</sup>

„კონკურენცია გრძელდება სტრიმინგ სერვისებსა და ჰოლივუდის მანქანას შორის. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვხედავთ ერთგულ კინომაყურებლებს ფილმების „ბოქს ოფისზე“ (შემოსავალი) დაყრდნობით, ჩვენი კვლევა აჩვენებს, რომ 3-დან 2 მაყურებელი ამჯობინებს ფილმების სახლში ონლაინ ნახვას. შეიძლება კინოინდუსტრიას ამ მაჩვენებლებით ბევრი წინააღმდეგობა

9 Same, All the Ways.

10 Privacy in , Consumer.

11 Two-Thirds , Adults.

ექმნება, მაგრამ იზრდება მაყურებლის მოთხოვნა ახალ კონტენტზე. ნახევარზე მეტი მომხმარებელი ამბობს, რომ ისინი ფილმებს კვირაში 2-3 ჯერ უყურებენ სახლში რაც 7-ჯერ აღემატება კინოში წამსვლელთა რაოდენობას. რომლებიც წელიწადში რამდენჯერმე თუ ახერხებენ კინოში წასვლას“. – ალი ბრედი, Harris X - ის ვიცე პრეზიდენტი.

გამოკითხვის შედეგები:

კინოთეატრში ფილმის ნახვის უპირატესობები:

- ფილმის დიდ ეკრანზე ნახვის გამოცდილება: 59%
- ხმის სისტემის ხარისხი: 47%
- სახლში ფილმის ნახვისას ყურადღება გეფანტება: 39%
- ფილმს ექსკლუზიურად უჩვენებენ კინოთეატრებში: 30%
- ახალი ტექნოლოგიები 3D და IMAX-ი რომელიც უნიკალურ გამოცდილებას იძლევა მაყურებლისთვის: 30%
- მაყურებლებთან ერთად ყურების გამოცდილება: 26%
- პრემიერაზე ან სპეციალურ ჩვენებაზე დასწრება: 25%
- ნოსტალგია: 24%

კინოთეატრში ფილმის ნახვის უარყოფითი მხარეები:

- ბილეთის და ფასი და სხვა ხარჯები (პოპკორნი და გაზიანი სასმელი): 53%
- სახლში ყურების კომფორტი: 42%
- სანიტარია და ჰიგიენა (კოვიდის შემდეგ გაჩენილი შიში): 40%
- ფილმის „დაპაუზების“ და „გადახვევის“ შეუძლებლობა (მათ შორის საპირფარეოში ვერ გასვლის შეუძლებლობა): 22%
- გამოკითხულთა უდიდეს ნაწილს უბრალოდ „არ აინტერესებს“: 22%
- მაყურებლები ხელს გიშლიან ფილმის ნახვაში: 19%
- მოუხერხებელია კინოთეატრამდე მისვლა (დრო და დისტანცია, ადგილმდებარეობა, საცობები, პარკინგი): 15%
- კინოთეატრში სანახავი ფილმების არჩევანი უფრო მწირია, ვიდრე სტრიმერებზე: 13%
- შეზღუდული ხელმისაწვდომობა (ბილეთების) ან მოუხერხებელი ჩვენების დრო: 11%
- ადგილის ამორჩევის შეზღუდვა: 8%



კინო, როგორც ზემოთ აღვნიშნე, კარგავს ძალას, როგორც მასებზე ზემოქმედების იარაღი. ზოგადად, კლასიკური გაგებით, კინო, რომელიც შექმნილია ცისფერ ეკრანებზე სანახავად, კარგავს თავის ფუნქციას, სახალხო სანახაობის ფუნქციას. კინოში სიარულის კულტურა ქრება ადამიანების დღის წესრიგიდან. კინოში წასვლა ოპერაში წასვლას დაემსგავსა, კინოფესტივალები კი, სადაც „სხვა კინოს“ უჩვენებენ, უფრო და უფრო ჩაკეტილი ხდება კინომოყვარულებისთვის.

აღბათ ხშირად გსმენიათ ტერმინი „საფესტივალო კინო“, რას ნიშნავს საფესტივალო კინო? საფესტივალო კინო არის ფილმები, რომლებსაც კინოფესტივალებზე უჩვენებენ? თუ ფილმები, რომლებიც მასებზე არ არის გათვლილი და მხოლოდ კინომოყვარულებისთვის იქმნება?

მე ვიტყვოდი, საფესტივალო კინო არის ფილმები, რომლებიც არ არის შექმნილი მოგებისთვის, ანუ არ არის კომერციული, რომლებიც სახელმწიფო და საერთაშორისო ფონდების მიერ ფინანსდება და ფილმები, რომლებიც კინოს, როგორც კულტურის და ხელოვნების დარგის განვითარებას ემსახურება.

ასეთი ფილმების ნახვის შანსი „უბრალო მაყურებლისთვის“ უფრო და უფრო მცირე ხდება. როდესაც ნანა ექვთიმიშვილის ფილმი „ჩემი ბედნიერი ოჯახი“ (რომლის გადაღებებზე მეც ვმუშაობდი) ნეტფლიქსმა შეიძინა. ყველას გვეგონა, რომ ეს ფილმის უდიდესი წარმატება იყო და ფილმს უამრავი მაყურებელი ნახავდა მსოფლიოს მასშტაბით. ნელ-ნელა გაირკვა, რომ ნეტფლიქსი ეგრეთწოდებულ

საფესტივალო ან თუ გნებავთ არტ-ჰაუს ფილმების უფლებებს განუსაზღვრელი ვადით ყიდულობს, ანუ ფილმი, როგორც ნაწარმოები, აღარ ეკუთვნის მის შემქმნელებს. ფილმის შექმნიდან, ნეტფლიქსი მსგავს ფილმებს 1-2 კვირის განმავლობაში სთავაზობს მაყურებელს, ამის შემდეგ ფილმი სამუდამოდ ინაცვლებს ციფრულ სერვერზე, როგორც საბჭოთა დროს ამბობდნენ, „თაროზე ინახება“ და იმის შანსი, რომ ნეტფლიქსის პერსონალური ინფორმაციის გადამამუშავებელი ალგორითმი ისევ ამოაგდებს, თითქმის არ არსებობს.

კინოწარმოება ავტომატურად არის მიბმული კინოგაქირავებასთან, ეს არის პროცესების წრიული ჯაჭვი. კინოთეატრებისადმი

ინტერესის კლებამ ფილმების დაფინანსების შანსებიც შეამცირა. ავიღოთ აღმოსავლეთ ევროპის ნებისმიერი ქვეყანა - სლოვაკეთი ან თუნდაც საქართველო. ნეტფლიქსის მომხმარებლისთვის, რომელიც თითქმის აღარ დადის კინოში, ან თუ მიდის მხოლოდ ბლოკბასტერების სანახავად, პროგრამაში ჩართული აღმოსავლეთ ევროპული სოციალური კინო აღარ არის საინტერესო. შესაბამისად, ასეთ ფილმებს აღარც დისტრიბუტორები ყიდულობენ და აღარც კინოთეატრები და ტელევიზიები. ერთადერთი შანსი იმისთვის, რომ მსგავსი საავტორო ფილმები შეიქმნას, არის ფონდები, პირველ რიგში რეგიონული და შემდეგ საერთაშორისო ფონდები, ფონდები, რომლებიც აფინანსებენ ფილმებს იმის ალბათობით, რომ ეს ფილმები შეიძლება მაყურებელამდე ვერ მივიდეს და თუ გაუმართლებს, მხოლოდ რამდენიმე საშუალო დონის ევროპულ ფესტივალზე შეიძლება ნახონ.

ამიტომ ჩნდება კითხვა, რა აზრი აქვს ფილმებს, თუკი მათ მაყურებელი ვერ ნახავს? ანუ ფილმები, რომლებსაც შეიძლება შემოქმედებითი ღირებულება ჰქონდეს, მხოლოდ პროფესიონალებისთვის იქნება ხელმისაწვდომი პრესტიჟულ ფესტივალებზე? არის საშიშროება, რომ კინო გადაიქცეს თანამედროვე ხელოვნების ნიმუშად, რომელიც გამოიფინება ფესტივალებზე, როგორც მუზეუმებში?

შეიქმნება თუ არა ისეთი უკვდავი შედეგები, რომლებსაც მთელი მსოფლიო დღემდე აღფრთოვანებით უყურებს? მაგალითად, ბილი უაილდერის „ჯამში მხოლოდ ქალიშვილები არიან“.

თანამედროვე სამყაროში დრო უფრო და უფრო სწრაფად გადის, ტექნოლოგიები დღითიდღე ვითარდება და იცვლება. ადამიანებისთვის კინო აღარ არის მიუწვდომელი და მაგიური სამყარო. თანამედროვე მაყურებელს უამრავი ინფორმაცია აქვს, მათ უკვე იციან, როგორ იქმნება ფილმები, რა ხერხებით, იცნობენ გადაღებების შიდა სამზარეულოს, მსახიობები ლაივ რეჟიმში ერთვებიან გადასაღები მოედნიდან. ჰოლივუდის ფილმების სარეკლამო კამპანიებზე იმდენი თანხა იხარჯება, რომ ადამიანებს აღარ აქვთ მოულოდნელობის ეფექტი ფილმის ნახვის შემდეგ.

თანამედროვე ტექნოლოგიებმა და მოწყობილობებმა ნებისმიერი ასაკის ადამიანებს თავად მისცა საშუალება, გადაიღონ ფილმები, დაამონტაჟონ, შეექმნან ვიზუალური ეფექტები, შეცვა-

---

---

ლონ ხმა. იუთუბის გზამკვლევების მიხედვით სკოლის მოსწავლეს შეუძლია სპეცფექტების შექმნა. ბავშვების სათამაშო დრონების ხარისხი რამდენიმე წლის წინანდელი კინოკამერის ხარისხს უტოლდება და ა.შ.

ჯერ არ არის საკმარისი დრო გასული იმისათვის, რომ კინოს „განაჩენზე“ ვისაუბროთ, შეიძლება მოვიდეს დრო და ადამიანებს მოხებრდეთ სახლში ჯდომა და ალგორითმების ნაკარნახევი „პლასტმასის“ ფილმების ყურება; ან პირიქით, შეიძლება კინოთეატრი მართლა მუზეუმად გადაიქცეს და მომავლის ახალგაზრდებმა კინოეკრანებზე გასულ ფილმებს სმარტფონებით გადაუღონ და ლაივ რეჟიმში გამოაქვეყნონ სოციალურ ქსელებში. ვინ იცის...

#### ბიბლიოგრაფია:

- MK2 Films Catalogue – Room 999 – 2023 - <https://mk2films.com/en/film/situation/>
- Cannes Classics: Room 999 by Lubna Playoust by Geoffrey Macnab -18 May 2023 - <https://businessdoceurope.com/cannes-classics-room-999-by-lubna-playoust/>
- How Covid-19 is changing online streaming behavior globally by Research & Editorial -Mar 27, 2020 - <https://npaw.com/blog/how-covid-19-is-changing-online-streaming-behavior-globally/>
- The Propaganda Film - How Cinema Can Change The World, ივნისი, 2017 <https://www.youtube.com/watch?v=dhhRegzk1HE>
- Boris' Death from The Cranes Are Flying – 1957 - <https://www.youtube.com/watch?v=B3qCd3xLTp0>
- Nobody Knows How to Watch Movies Anymore, by Jason Kehe, WIRED, 15 ივნისი, 2022 - <https://www.wired.com/story/no-one-knows-how-to-watch-movies/>
- How Game of Thrones Should Have Ended - მაისი, 2019 - <https://www.youtube.com/watch?v=G0mncE14nVU>
- All the Ways Netflix Tracks You and What You Watch, by Kate O’Flaherty, ოქტომბერი, 2021 - <https://www.wired.co.uk/article/netflix-data-tracking-privacy>

- [Privacy in the EU and US: Consumer experiences across three global platforms – Pat Walshe](https://eu.boell.org/sites/default/files/2019-12/TACD-HBS-report-Final.pdf?dimension1=zora2019) - Heinrich-Böll-Stiftung Brussels European Union and the Transatlantic Consumer Dialogue (TACD), London, England, [გადამოწმებულია] 2019; <https://eu.boell.org/sites/default/files/2019-12/TACD-HBS-report-Final.pdf?dimension1=zora2019>
- All the Ways Netflix Tracks You and What You Watch, by Kate O’Flaherty, [გადამოწმებულია] ოქტომბერი, 2024; <https://www.wired.co.uk/article/netflix-data-tracking-privacy>
- Two-Thirds of U.S. Adults Would Rather Wait to Watch Movies on Streaming, [გადამოწმებულია] მარტი, 2024; <https://www.indiewire.com/news/analysis/movies-on-streaming-not-in-theaters-1234964413/>

**მარია სიჩანინი,**

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა  
და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი  
ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორი:  
ქეთევან ტრაპაიძე,  
პროფესორი: დავით ჯანელიძე

## **მისტიკური ჟანრის თავისებურებები და მისი თხრობითი პრივილეგიები**

### **რეზიუმე**

კინემატოგრაფი აერთიანებს ხელოვნების ყველა დარგს, ხედავას, სურვილს, ემოციასა და ადამიანების ბედისწერას. ხელოვნება დასაბამიდან დღემდე ცოცხლობს მაყურებლის, მსმენელის, დამფასებლისა და შემოქმედი ადამიანის ურთიერთქმედების ხარჯზე. სხვადასხვა მიმდინარეობის, ტენდენციის და ჟანრის ჩამოყალიბება ცხადყოფს, თუ რამდენად დაინტერესებულია ადამიანი, არა მხოლოდ ეზიაროს ხელოვნებას, არამედ მასში საკუთარი ანარეკლი ეძიოს. სწორედ ამიტომ, შემოქმედებითი თხრობის ენაც მრავალფეროვანია. ჟანრი – კინოში ერთ-ერთი მრჩვეულია მაყურებლისთვის, ის თითქოს ამბობს, აქ შენ იპოვი იმ სამყაროს, რომელიც გაინტერესებს, აქ შენ იპოვი პერსონაჟს, რომელიც შენ გვავს. ან, მოდი აქ და ნახე ის რაც არასდროს გინახავს, რაც გაჩვენებს, თუ ვინ ხარ სინამდვილეში!

„მაყურებელს უყვარს ჟანრული კინო, უყვარს ყველგან და მათ

შორის საქართველოშიც. თუმცა, პარადოქსია, უყვარს მაყურებელს, მაგრამ არა რეჟისორებს“ – წერს მანანა ლეკბორაშვილი ძალიან საინტერესო სტატიაში „თანამედროვე ქართული კინემატოგრაფი და ჟანრული კინო – კითხვები და ვარაუდები“, სადაც ქართული კინოს მრავალფეროვან ჟანრში ყოფნა – არ ყოფნას განიხილავს. როდესაც უფასო პირატული ფილმების ონლაინ პლატფორმა დაიხურა, თვალსაჩინო გახდა არა მხოლოდ ის, რომ ქართველ მაყურებელს კინოხელოვნება უყვარს, არამედ გამოჩნდა სტატისტიკა, რა ჟანრის და რომელი ქვეყნის ფილმებსა თუ სერიალებს ანიჭებენ უპირატესობას. მათთვის იმ ფილმების ყურება, რომლებიც მოსწონდათ, ისეთივე მიუწვდომელი გახდა, როგორც ნებისმიერი ქართული თანამედროვე ფილმი. თუმცა ამხელა მღელვარება და სასოწარკვეთა არასოდეს გამოუწვევია ქართული თანამედროვე ფილმების მიუწვდომლობას. ამ მოცემულობამ ორი

რამ ცხადყო – ქართველ მაყურებელს უყვარს ჟანრული კინო და ქართველ მაყურებელს აღარ აქვს ინტერესი ქართული ჟანრული კინოს მიმართ.

თუ ვინმე იტყვის, რომ ქართულ რეალობაში ჟანრულ კინოს ან მისტიფიკაციის ხერხებს მომავალი არ აქვს და მსგავსი ფილმი მაყურებელს მალე დაავიწყდება – ვუპასუხებ სამ სიტყვას – „თენგიზ აბულაძე – მონანიება“. ეს არის ქართული ჟანრული ფილმი, რომელმაც კანის მე-40 საერთაშორისო კინოფესტივალის სამი პრი-

ზი: მთავარი ჟიურის სპეციალური პრიზი, კათოლიკური ეკლესიის ჟიურის პრიზი ჰუმანიზმისათვის და კინოპრესის საერთაშორისო ფედერაციის პრემია „ფიპრესი“ დაიმსახურა, 1984 წელს.

ძირითადი მიზანი, რასაც ემსახურება მისტიკური ჟანრი, მასის ან საზოგადოების ფსიქოლოგიური მდგომარეობის აღწერა და კვლევაა, იმ გარემოებებისა და ატმოსფეროს საშუალებით, რომლებითაც ისინი დაცულად იგრძნობენ თავს.

*საკვანძო სიტყვები: ჟანრი, მისტიკური ჟანრი, მისტიფიკაცია, ხერხი, კინოენა*

თავდაპირველად მაყურებელს უნდოდა, რომ რაიმე საოცრება ენახა, შემდგომ მიეჩვია ეგრეთწოდებულ საოცრებას და მოსწყინდა. სიცილი – ნებისმიერი მოწყენილობის წამალია, აქედან გამომდინარე, გაჩნდა კომედიური ჟანრის ერთმოქმედებიანი მიზანსცენები, რომლებიც გარკვეული დროით იპყრობდა მაყურებლის ინტერესს. ჟანრების ჩანასახები – სწორედ ამ კანონზომიერებით შემოიჭრა მოძრავი გამოსახულების ეპოქაში და ნელ-ნელა კინოდ გადაიქცა.

ჟანრი – ხელოვნების დარგის ნაწარმოებთა სახეობა, რომელიც გამოირჩევა გარკვეული მხატვრული მახასიათებლებით.

მისტიკური ჟანრის მახასიათებელი: მებუნებრიობა, კეთილი და ბოროტი ძალების მკაფიო სხვაობა, რეალობიდან ამოვარდნილი მოვლენები.

დღესდღეობით არ არსებობს ახალი თემა ან ჟანრი. თუმცა არსებობს მრავალი ხედვის წერტილი და ჟანრების ერთ სურათში გაერთიანების ვერსია. ჟანრთა მრავალფეროვნება, ისევე, როგორც კინო და ხელოვნების ყველა დარგი, ემსახურება ბედისწერასა და შიშების სიღრმეს. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ თავად ჟანრი არ იწ-

ვევს ინტერესს, შესაძლებელია მივმართოთ მისტიფიკაციის განყენებულ ხერხებს.

ხერხი – ფანდია, ილეთი, ფორმა. კინოსთან მიმართებაში თხრობის ინდივიდუალური თავისებურება, ერთგვარი ტყუილი კონკრეტული ამბის, მიზანსცენისა თუ განწყობის ზუსტად გადმოსაცემად (ხმოვანი რიგი ერთ-ერთი ელემენტია). აქედან გამომდინარე, მისტიფიკაცია, როგორც ხერხი, შეგვიძლია რაიმე მოვლენის, ემოციის, ან მდგომარეობის გეზუნებრივი საშუალებებით გამოსახატავად გამოვიყენოთ. მისტიფიცირება – წინასწარ განსაზღვრულად ვინმეს შეცდომაში შეყვანას ნიშნავს. ერთი შეხედვით, მისტიფიკაციის განმარტება ავბედიტად და უსამართლოდ ჩაგვესმის, მაგრამ თუ მას შევხედავთ როგორც რიტუალს და მაგიურ ელემენტს, უარყოფით კონტექსტთან ერთად, გონებაში უამრავი დადებითი მოგონება ამოტივტივდება. თოვლის ბაბუისთვის დაწერილი წერილები, დაბადების დღეზე სანთლების ჩაქრობისას, ჩაფიქრებული სურვილების ასრულების რწმენა, კომპარების გამდინარე წყლისთვის მოყოლა, დავარდნილი ჩანგლის გაუცნობიერებლად სწრაფად აღება, როდესაც სტუმრების დახვედრის ხასიათზე არ ვართ. ამ მაგალითებით ვხვდებით, რომ მისტიკა ხალხური შემოქმედებისა და მითოლოგიის განუყოფელი ნაწილია.

„მაყურებელს უყვარს ჟანრული კინო, უყვარს ყველგან და მათ შორის საქართველოშიც. თუმცა, პარადოქსია, უყვარს მაყურებელს, მაგრამ არა რეჟისორებს“<sup>1</sup> – წერს მანანა ლეკბორაშვილი ძალიან მნიშვნელოვან სტატიაში, სადაც ქართული კინოს მრავალფეროვან ჟანრულ ყოფნა-არყოფნის საკითხებს განიხილავს. საქართველოში შექმნილი ფილმების ძირითადი ჟანრი – დრამა, კომედია, მელოდრამა ან მიუზიკლია. თუმცა, ესეც უკვე წარსულის სტატისტიკაა. დღეს, ქართული კინო არ გამოირჩევა ჟანრთა მრავალფეროვნებით, შესაძლოა, ამის მიზეზად ჩაითვალოს ის, რომ ქართველი მაყურებელი არაა მზად მიიღოს სხვა ჟანრი, მაგრამ ეს მოსაზრება მცდარია. 10 ადამიანიდან 8 ამბობს, რომ ნანახი აქვს „მატრიცა“, „სამეფო კარის თამაშები“, „გეზუნებრივი“, სხვადასხვა ფილმი და სერიალი, ტრილერის, მისტიკის, ჰორორის ან ფენტეზის ჟანრში. არსებობს თუ არა, ჟანრული კინოზე მუშაობის ერთგვარი დეფიციტი საქართველოში? დიახ, და ალბათ უნდა გავიზბროთ,

<sup>1</sup> ლეკბორაშვილი, თანამედროვე, 2018.

რისთვის და ვისთვის ვქმნით ფილმებს.

ბუნებრივია, კინო არსებობისთვის ბიუჯეტს მოითხოვს და ხშირად პოლიტიკური დაპირისპირებების საგანიც ხდება, მაგრამ ქართველი ავტორები მუდამ ალტერნატიულ, მხატვრულ-შემოქმედებით გზას ეძებდნენ. თენგიზ აბულაძის – „მონანიება“ ამ ძიების და თვითგამოხატვის საუკეთესო მაგალითია.

სურათი მეტაფორულია – ბნელი, თითქმის ბიბლიური სიუჟეტები ჰიერონიმუს ბოსხის ტილოების მსგავსად ცოცხლდება. ისტორიის უწყვეტი ჯაჭვს თან სდევს მკაფიო მუსიკალური მეტაფორები. მაგალითად, სასიკვდილო განაჩენმისჯილი ებრაელების ჰიმნი ვერდის ოპერიდან „ნაბუკო“ ან „საქორწილო მარში“, რომელიც თანმდევია ეპიზოდის, სადაც ხელიხელჩაკიდებული გამოძიებელი და თვალახვეული თემიდა (სამართლიანობის ქალღმერთი) დემონსტრაციულად ტოვებენ სასამართლო დარბაზს. „მონანიებაში“. თავისი მისტიკური რეალიზმის აშკარა და პირდაპირი მეტაფორებით, საშუალება მისცა ადამიანებს, განეზოგადებინათ წარსული, შეეხედათ იდეოლოგიით სავსე, ცრუ ყოფისთვის „ვარდისფერი სათვალის“ გარეშე. ფილმი „მონანიება“ ასახავს ყველაზე სახიფათო სიმართლეს – მაყურებელი, რომელსაც კინოსურათი არ მოწონს, ინტერესს მის მიმართ მინც იჩენს.

მისტიკურ ჟანრში გამოკვეთილად ჩანს კინოს ენა ხერხები და ამ ჟანრის ყველა ფილმს აერთიანებს ერთ რამ – მისწრაფება – პირისპირ დატოვოს მაყურებელი შიშთან და ხანდახან უსამართლო მოვლენებთან, გააანალიზოს ისინი.

ფილმი თავისი არსით ჰგავს სიზმარს. შესაბამისად, მისტიკა, როგორც ჟანრი, ჰგავს კოლექტიურ სამსჯავროს. ურჩხული (საშიში პერსონაჟი ან მოვლენა) – ეს არის ჩვენი ცნობიერიდან განდევნილი ნაწილი, რომელიც დროდადრო თავს გვახსენებს. დასაბამიდან მისტიკური ჟანრი ინდივიდისა და საზოგადოების დამოკიდებულებების სიღრმისეულ ვიზუალიზაციას ემსახურებოდა და თანამედროვე ეპოქაშიც ის მყიდვედ რეაგირებს აქტუალურ სოციალურ თემებზე. მარტივად ინტეგრირებადია ყველა ქვეჟანრში, რადგან მას საფუძვლად უდევს ამოუცნობის შიში, დეტექტიური ჟანრის სტრუქტურა, ირეალური იდუმალი სამყარო, თავგადასავლის შეგრძნება და იმეორებს მარადიულ თემებს (სიყვარული, რწმენა, თავისუფლება, უკვდავება). ხშირად მისტიკური ჟანრისთვის დამახა-



სიათებელი, საზოგადოებისგან განსხვავებული ზებუნებრივი პერსონაჟი იყურება პირდაპირ კამერაში, ამსხვრევს მეოთხე კედელს, ამ მომენტში ირღვევა საზღვარი გამოგონილსა და რეალურს შორის. იქმნება ცრუ გამოჭერის ეფექტი და ჩნდება განცდა, რომ არასასურველი მოწმე ვართ.

როგორ გამოსახულებებთან ასოცირდება ჩვენს გონებაში მისტიკური ჟანრი. იდუმალი ტყე, მიტოვებული სახლი, დაბურული ნისლი, პერსონაჟი უჩვეულო ვიზუალით და უნარებით. ეს ტრადიცია საფუძველს იღებს, როგორც ისტორიულ ამოუცნობ გახმაურებულ მოვლენებში – ასევე მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის გოთიკურ ლიტერატურაშიც. სწორედ ეს პერიოდი გახდა ამ ჟანრის პირველი რეჟისორების ინსპირაციის წყარო. მისტიკური და ამოუცნობი ეფექტის მისაღწევად საუკუნის დასაწყისში რეჟისორები იღებდნენ სცენებს თხელი გამჭვირვალე ფარდის გამოყენებით, რაც დაბურული ფილტრის ეფექტს აძლევდა გამოსახულებას და მეტად ირეალურს ხდიდა.

ფერი და შუქი – ძალადობა ხაზგასმულია წითელი ფერით, ღამის შიშში, როგორც მისტიკურისა და მოულოდნელის განხორციელების ადგილი, გადაწყვეტილია იასამნისფრიდან ცივი მელნისფრის გრადაციულ ფერებში. კადრებში დომინირებს კონტრასტული შუქ-ჩრდილები, რის გამოც ერთდროულად ვხედავთ და ვერ ვხედავთ გარემოს. სიბნელის დროს შფოთვა, ეს იმ ამოუცნობის შიშია, რაც მის მიღმა შეიძლება იმალებოდეს და ჩვენთვის ოდნავ შეღებული კარის ფუნქციას ასრულებს, საიდანაც ყველაფერი არ ჩანს და ის, რომ რაიმეს ვხედავთ, უკვე სახიფათოა. რეჟისორები იყენებენ ფერს და განათებას თავისებურად, მაგალითად, რობერტ ეგგერსი ფილმში „ალქაჯი“ იყენებს ბუნებრივ განათებას ექსტერიერში და სანთლისა და ცეცხლის შუქს ინტერიერში, რომ გარემო შორეული და თანამედროვე მაყურებლისთვის არაკომფორტული გახადოს. დარიო არჯენტოს „სუსპირიაში“ ფერი მკაფიოდ ანაწევრებს ყოფით ცხოვრებასა და ოკულტურ რიტუალებს. ყოფითი ცხოვრება მოიცავს ყველა ფერს მქრქალი ფონით, ხოლო ოკულტური მომენტები მთლიანად ერთი ფერის განათებაშია წარმოდგენილი. ჟანრის მუდმივი ატრიბუტია მაგიური რეალიზმისგან ნასესხები, პირობითი ირეალური სამყაროს დემონსტრირება პარალელური მონტაჟით, მისი განსხვავება რეალური სამყაროსგან.

მიზანსცენების ისეთი ქმედებით დასრულება, რაც ფიზიკის კანონებს ეწინააღმდეგება.

ხმოვან რიგში დიალოგი ტემბრალურად მოზომილია, პერსონაჟები არც ჩურჩულებენ და არც ხმამაღლა საუბრობენ, რაც გვიჩენს განცდას, რომ შეთქმულების მსხვერპლი შეიძლება გავხდეთ. ხმოვან რიგში მაღალი რეგისტრის ხმაური, საუბარი, სუნთქვა ან მუსიკალური რიგი შემოდის მაშინ, როცა მაყურებელი ეჩვევა სიჩუმეს. ეს ეფექტი მიიღწევა ემოციური რეგისტრის გამიზნულად მოვლენებზე მიმართვითა და შემდგომ მათი გაბუნდოვანებით ყურისა და თვალისთვის. მონტაჟის, კადრის კომპოზიციისა და ხმის დახმარებით. გრძელი და მშვიდი კადრები კულმინაციური თავდასხმის ეპიზოდში იცვლება სწრაფი მონტაჟით. გაძლიერებული ეფექტისთვის გამოიყენება სხვადასხვა ფართის კადრები, რომლებშიც იმდენად ირეალური მოვლენები ხდება, რომელთა ახსნა მაყურებელს უჭირს... ერთ-ერთი საინტერესო მაგალითია ლუკა გუადანინიოს „სუსპირიას“ ფინალური სცენა – მთელი ფილმის განმავლობაში დეტექტიური თხრობისთვის დამახასიათებელი მონტაჟით მივდივართ ფინალურ შეტაკებამდე. უეცრად რადიკალურად იცვლება ფილმის ფერი და მიმდინარე მოვლენების აუხსნელობის კონტრასტის გამო სრულ გაურკვეველ და შემაშინებელ გარემოში ვვარდებით. მონტაჟურად კი შეტაკებას მისტიკურ ჟანრში მოსდევს მშვიდი მეორე დღე, რომელიც ერთდროულად შვებისა და სიცარიელის შეგრძნებას ტოვებს. ჟანრში მუსიკის მთავარი მისია მაყურებლისთვის კონკრეტული ემოციური ფონის შექმნაა. მისტიკურ ჟანრში – ვერტიკალური მონტაჟის ხერხი, რომელიც აერთიანებს გამოსახულებას და ხმას, გარდაქმნის მუსიკას ეკრანზე მიმდინარე მოვლენების კომენტარად. ამიტომ, როდესაც ფილმში ხმოვანი რიგი სრულიად ქრება კადრიდან, ესეც ავის მომასწავებელია. ემოციები პერსონაჟის სახეზე, ირეალური ფონი, უჩვეულო დეკორაციები – ეს ყველაფერი არის ხელოვნურად შექმნილი რეალობა, ილუზია, რომელიც ცხოვრობს მხოლოდ ეკრანზე. იქიდან გამომდინარე, რომ შეუცნობლის მიმართ შიშის ემოცია და საკუთარი თავის ძიების ინსტინქტი ძალიან მიმზიდველია, ჩვენ ვიღებთ იმ ემოციებსა და სიღრმეს, რომელიც არ გვყოფნის რეალურ ცხოვრებაში. მისტიკური ჟანრი ემსახურება არა ადამიანის შეშინებას, რაც ახასიათებს ჰორორის ჟანრს, არამედ ადამიანის

მასის ან საზოგადოების ფსიქოლოგიური მდგომარეობის აღწერა-სა და კვლევას, იმ გარემოებებისა და ატმოსფეროს საშუალებით, რომელიც მას დაცულად აგრძნობინებს თავს. დაცულობის შეგრძნებას კი არა ჰარმონიული და ჩვეული ფონით, არამედ ირეალური ხერხით გვიქმნის. რადგან ეს ყოველივე გვაბრუნებს საწყის, თავდაპირველ აზრთან, რომ ეს ყველაფერი ზღაპარია და რეალობას არ შეესაბამება.

#### ბიბლიოგრაფია:

- ამირეჯიბი ნ., სინემატოგრაფიდან კინოხელოვნებამდე, განათლება, თბ., 1990.
- დოლიძე ზ., უხმო კინო, კენტავრი, თბ., 2007.
- ლეკბორაშვილი მ., თანამედროვე ქართული კინემატოგრაფი და უანრული კინო – კითხვები და ვარაუდები, (სტატია – უ.) კინოფორუმი. საქართველოს კინოაკადემია. იანვარი-ივნისი, 1. 2018.
- ლოტტე ა., დემონური კინო, პოსტმოდერნ ტექნოლოგიები (თარგმნილია რუსულად), 2010.

თეა ჭანტურია,  
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს  
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,  
ხელმძღვანელი: პროფესორი ალექსანდრე ვახტანგოვი

## იქნა თუ არა კულტურის დეტერმინიზმი კულტურული დეტერმინიზმის პირისპირა?

### რეზიუმე

ტექნოლოგია აყალიბებს კულტურას თუ კულტურა წარმართავს ტექნოლოგიურ განვითარებას? თანამედროვე ეპოქაში ეს თემა მუდმივად იწვევს დებატებს. ჩვენი საკვლევი თემაა თანამედროვე საზოგადოებაში ტექნოლოგიურ დეტერმინიზმს და კულტურულ დეტერმინიზმს შორის დინამიკური ურთიერთქმედების შესწავლა. ეს საპირისპირო თეორიები გვათავაზობენ განსხვავებულ პერსპექტივებს, თუ როგორ მოქმედებს ტექნოლოგია და კულტურა ერთმანეთზე, რაც აჩენს კითხვებს ტექნოლოგიურ პროგრესსა და კულტურულ ევოლუციას შორის ურთიერთკავშირის შესახებ. ტექნოლოგიური დეტერმინიზმი ამტკიცებს, რომ ტექნოლოგიური წინსვლა, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს კულტურულ ცვლილებებს და ამტკიცებს ტექნოლოგიის ავტონომიას საზოგადოებაზე. კულტურული დეტერმინიზმი კი პირიქით, ამტკიცებს, რომ კულტურული ღირებულებები და რწმენა არის ტექნოლოგიური განვითარების მამოძრავებელი ძალები,

რომლებიც ტექნოლოგიას განიხილავენ როგორც კულტურის გაფართოებას და არა დამოუკიდებელ ძალას. ამ დიქტომიის ამოსახსნელად მნიშვნელოვანია ტექნოლოგიასა და კულტურას შორის რთული ურთიერთობის შესწავლა. დეტერმინიზმის ფილოსოფიური კონცეფცია ამტკიცებს, რომ მოვლენები, მათ შორის ადამიანის ქცევა, განსაზღვრულია წინასწარი მიზეზებით, რომლებიც სწორედ ამ კვლევის ფუნდამენტურ ფონს ემსახურება. სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომში წარმოდგენილი მაგალითები (დაწყებული სტამბიდან, დასრულებული ხელოვნური ინტელექტამდე) ხშირად მოჭყავთ იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ მოქმედებს ტექნოლოგია, როგორც ძლიერი ძალა საზოგადოების ჩამოყალიბებაში. და პირიქით, კულტურული დეტერმინიზმი – ხაზს უსვამს კულტურის დომინანტურ როლს ტექნოლოგიური განვითარების ფორმირებაში – სოციალურ გავლენას. ამ თეორიის მიხედვით, კულტურული ღირებულებები, რწმენა და პრიორიტეტები განაპი-

რობებს ტექნოლოგიების განვითარებას, მიღებას და გამოყენებას. იგი ტექნოლოგიას განიხილავს, როგორც კულტურული გადაწყვეტილებების პროდუქტს, ავლენს დინამიკურ ურთიერთკავშირს კულტურულ დინამიკასა და ტექნოლოგიურ ევოლუციას შორის. ცნობილმა მედიის თეორეტიკოსმა, მარშალ მაკლუენმა, შემოიღო უნიკალური პერსპექტივა, სახელწოდებით მედია-დეტერმინიზმი, რომელიც სცილდება ტექნოლოგიური და კულტურული დეტერმინიზმის ბინომურ (ორწევრული) ობოზიციას. სწორედ ეს მოსაზრება ადასტურებს ტექნოლოგიასა და კულტურას შორის დინამიკურ და სიმბიოზურ ურთიერთობას, რაც ავლენს რთულ ორმხრივ დიალექტიკურ პროცესს. ტექნოლოგიას

შემოაქვს ახალი იდეები და ახდენს კულტურული ნორმების მოდერნიზებას. დასასრულს, ტექნოლოგიურ დეტერმინიზმსა და კულტურულ დეტერმინიზმს შორის ურთიერთქმედება გვთავაზობს მდიდარ რელიეფს კვლევისთვის, რომელიც ნათელს ჰფენს ტექნოლოგიასა და კულტურას შორის ფუნდამენტურ დიალოგს. ამ ორ ძალას შორის დინამიკური ურთიერთობის აღიარება გადაწყვეტია საზოგადოების პროგრესის გასაგებად, ტექნოლოგიური და კულტურული ევოლუციის მუდმივად განვითარებად ლანდშაფტზე ნავიგაციისთვის. ასევე, მისი შესწავლა სხვადასხვა დისციპლინაში მოღვაწე მეცნიერების კვლევის პრიორიტეტულ სფეროდ რჩება.

**საკვანძო სიტყვები:** *დეტერმინიზმი, ტექნოლოგია, კულტურა, საზოგადოება, ტექნოლოგიური და კულტურული ევოლუცია*

დღესდღეობით, თანამედროვე ტექნოლოგიურ ეპოქაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხია ტექნოლოგიური დეტერმინიზმი კულტურული დეტერმინიზმის პირისპირ – განსაკუთრებით, საზოგადოებაზე ტექნოლოგიების გავლენის შესწავლის კონტექსტში. ეს არის ორი კონტრასტული პოზიცია, თეორიული პერსპექტივებით, ტექნოლოგიასა და კულტურას შორის, რომლებიც საპირისპირო შეხედულებებს გვთავაზობენ საზოგადოების ცვლილების მამოძრავებელ ძალებზე. ეს ორი საპირისპირო თეორია წარმოგვიდგენს განსხვავებულ ხედვას, თუ როგორ გავლენას ახდენს ტექნოლოგია და კულტურა ერთმანეთზე და როგორ შემოქმედებენ სოციალურ განვითარებაზე. ტექნოლოგიას და კულტურას შორის ურთიერთობის შეფასება მნიშვნელოვანია, რადგან ტექნოლოგია შეიძლება იყოს კულტურის ცვლილების აგენტი ან ღირებულებების და იდეოლოგიის პროდუქტი.

დეტერმინიზმის საკვანძო საკითხად შესაძლოა მოვიაზროთ, თუ რამდენად აყალიბებს ტექნოლოგია კულტურას ან პირიქით. ტექნოლოგიური დეტერმინიზმი ამტკიცებს, რომ ტექნოლოგიური მიღწევები დიდ წილად განსაზღვრავს კულტურული ცვლილების კურსს. ამ თვალსაზრისით, კულტურული ფაქტორების მიუხედავად, ტექნოლოგიას აქვს თანდაყოლილი უნარი – გავლენა მოახდინოს საზოგადოებაზე. მეორე მხრივ, კულტურული დეტერმინიზმი ამტკიცებს, რომ კულტურული ღირებულებები და რწმენა განაპირობებს ტექნოლოგიურ განვითარებას და დანერგვას, სადაც ტექნოლოგია განიხილება როგორც კულტურის გაფართოება და არა ავტონომიური ძალა.<sup>1</sup>

დიქტომია – რა გავლენას ახდენს ტექნოლოგია კულტურულ პრაქტიკებსა და ტრადიციებზე? რამდენად აყალიბებს კულტურა ტექნოლოგიურ ინოვაციებს? არსებობს თუ არა ურთიერთკავშირი ტექნოლოგიასა და კულტურას შორის? როგორ მოქმედებს ეს თეორიები საზოგადოების პროგრესისა და ევოლუციის ჩვენეულ გაგებაზე?

მოდით ჩავუღრმავდეთ თითოეულ კონცეფციას და შევეცადოთ გავცეთ კითხვებზე პასუხი. თავდაპირველად განვიხილოთ, რა არის დეტერმინიზმი ზოგადად. ეს არის ფილოსოფიური პოზიცია, რომლის თანახმად, ყველა მოვლენა, ფიზიკური თუ გონებრივი, ადამიანური ქცევის ჩათვლით, არის წინამორბედი მიზეზების აუცილებელი შედეგი.<sup>2</sup> სამყარო იმართება დეტერმინიზმით (ან მისი გავლენის ქვეშაა), მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმის გათვალისწინებით, თუ როგორია მოცემული წესრიგი დროის მომენტში, საგანთა შემდგომი მიმდინარეობა კი განისაზღვრება ბუნების კანონებით.<sup>3</sup>

დეტერმინიზმი – ფილოსოფიის ერთ-ერთი მარადიული თემაა. მისი კავშირი ადამიანის თავისუფლებასა და მორალთან, მნიშვნელოვანს ხდის მას ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ის, როგორც წესი, გაგებულა, როგორც თავისუფალი ნების და მორალური პასუხისმგებლობის ცნებების უარყოფა, თუმცა ფილოსოფოსთა განსხვავებული დასკვნები გვაძლევს უფლებას, სხვადასხვანაირად ვიფიქროთ.<sup>4</sup>

<sup>1</sup> Singh, Drew, Technological.

<sup>2</sup> Determinism, American, Psychological Association.

<sup>3</sup> Hoefel, Causal Determinism.

<sup>4</sup> Rajabova, Determinism.

ტექნოლოგიური დეტერმინიზმი – ამტკიცებს, რომ ტექნოლოგია არის საზოგადოების ცვლილებისა და განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა. ამ შეხედულების თანახმად, ტექნოლოგიის განვითარება გავლენას ახდენს კულტურის სტრუქტურასა და ღირებულებებზე. ტექნოლოგიურ მიღწევებზე საუბრისას ისეთი გამოგონებები, როგორებიცაა სტამბა, ინტერნეტი ან სმარტფონები, ხშირად იმის მაგალითებად მოჰყავთ, თუ როგორ აყალიბებს და გარდაქმნის ტექნოლოგიები საზოგადოებას. მაგალითად, კორნელის უნივერსიტეტის პროფესორი რონალდ. რ. კლანი ასეთ განმარტებას იძლევა – „ეს არის ტერმინი, რომელიც გამოიყენება ურთიერთობების შესახებ პრეტენზიების ერთობლიობის აღსაწერად, რასაც ჩვენ, ჩვეულებრივ, ვუწოდებთ „ტექნოლოგიას“ და საზოგადოებას“.<sup>5</sup>

კულტურული დეტერმინიზმი – ეს თეორია ხაზს უსვამს კულტურის დომინანტურ როლს ტექნოლოგიური განვითარების ფორმირებაში და მის გავლენას საზოგადოებაზე. კულტურული დეტერმინიზმის თანახმად, მისი ღირებულებები, რწმენა და პრიორიტეტები განსაზღვრავს, თუ რომელი ტექნოლოგიები განვითარდება, როგორ მიიღება და როგორ გამოიყენება. ამ თვალსაზრისით კი, ტექნოლოგია განიხილება, როგორც კულტურული გადაწყვეტილებების და საჭიროებების პროდუქტი.<sup>6</sup>

სინამდვილეში ტექნოლოგიასა და კულტურას შორის ურთიერთობა რთული და მრავალმხრივია, ამ საკითხზე კამათი არასდროს წყდება. სწორედ ეს კამათი იწვევს შემდგომ ახალ ტექნოლოგიურ მიღწევებს და საზოგადოების დამოკიდებულების ცვლილებებს. ჩვენთვის კი მნიშვნელოვანია სიღრმისეულად შევისწავლოთ მათი დინამიკური ურთიერთქმედება.

უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ტექნოლოგიური ინოვაციები ახდენენ გავლენას კულტურულ პრაქტიკაზე, რწმენაზე და შეუძლიათ ცვლილებების სტიმულირება, ისევე ტექნოლოგიების მიღებაზე, გამოყენებაზე ახდენენ გავლენას კულტურული ღირებულებები და ნორმები; სწორედ კულტურული ფაქტორები საზღვრავენ ტექნოლოგიური განვითარების მიმართულებებს. რამდენადაც ტექნოლოგია აგრძელებს განვითარებას და ხდება უფრო ინტეგრირებული ჩვენს ცხოვრებაში, მით უფრო ტექნოლოგიური და კულტურული დეტერმინიზმის ურთიერთქმედების შესწავლა რჩება სოციო-

ლოგების, ანთროპოლოგების და სხვადასხვა დარგის მეცნიერთა კვლევის მნიშვნელოვან სფეროდ.

ცნობილი მედია-თეორეტიკოსი მარშალ მაკლუენი ხშირად ასოცირდება დისკუსიებთან, რომლებიც უკავშირდება ტექნოლოგიების გავლენას კულტურასა და საზოგადოებაზე. მისი ნაშრომების განხილვისას, ერთი შეხედვით, ის ტექნოლოგიურ დეტერმინიზმს კულტურულ დეტერმინიზმს უპირისპირებდა. თუმცა, რას გულისხმობდა და იყო თუ არა ასე, ამისთვის მნიშვნელოვანია მისი თვალსაზრისის დეტალური ანალიზი.

მარშალ მაკლუენის შეხედულებები რთული და გარკვეულწილად უნიკალური იყო, ის არ მიეკუთვნებოდა არც ტექნოლოგიური დეტერმინიზმის და არც კულტურული დეტერმინიზმის მომხრეების ბანაკებს.

მაკლუენის მედია-დეტერმინიზმი – ეს კონცეფცია გადახვევა იყო ტექნოლოგიური და კულტურული დეტერმინიზმის დიქოტომიიდან. ის ამტკიცებდა, რომ მედია, რომლის მეშვეობითაც ხდება ინფორმაციის გადაცემა, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი შინაარსი. მაკლუენის ცნობილი გამონათქვამი „The medium is the message“ – ნიშნავს, რომ ინფორმაციის გადაცემის გზა (მედია) უფრო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებასა და კულტურაზე, ვიდრე მესიჯის სპეციფიკური შინაარსი. იგი თვლიდა, რომ სხვადასხვა მედია (ბეჭდური, ტელევიზია, ინტერნეტი) მკაფიო გავლენას ახდენდა ადამიანის აღქმაზე, კომუნიკაციასა და სოციალურ ორგანიზაციაზე. ის იკვლევდა იმ გზებს, რომლებითაც მედია-ტექნოლოგიების ცვლილებებს შეუძლია ადამიანის გამოცდილების ხელახალი კონფიგურაცია და კულტურის ჩამოყალიბება. მაკლუენი ტექნოლოგიას არ უყურებდა როგორც ავტონომიურს, არამედ ის უყურებდა როგორც ფაქტორს, რომელიც ურთიერთქმედებს კულტურასთან და იცვლება რთული გზებით. მას სჯეროდა, რომ ტექნოლოგიასა და კულტურას აქვს დინამიკური და სიმბიოტური ურთიერთობა.<sup>7</sup>

მარშალ მაკლუენის ფილოსოფიას თუ გავყვებით – (მიუხედავად იმისა, რომ) ტექნოლოგიური დეტერმინიზმი არის იდეა, რომ ტექნოლოგია აყალიბებს, განსაზღვრავს კულტურის და საზოგადოების კურსს, ხოლო კულტურული დეტერმინიზმი ვარაუდობს, რომ

<sup>7</sup> McLuhan, *The Medium*, Gingko Press.



კულტურა და საზოგადოება, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავს ტექნოლოგიის გამოყენებას და გავლენას – მისმა შეხედულებამ უარყო ხისტი ორობითი ოპოზიცია ამ ორ პოზიციას შორის.

„როდესაც ტექნოლოგიური ინოვაციების მუდმივი ტალღები გვიკაკუნებენ კარზე“,<sup>8</sup> სულ უფრო რთული ხდება იმ იდეის უგულებელყოფა, რომ ამ ინოვაციებს შეიძლება მოჰყვეს მოულოდნელი სოციალური ეფექტები. სწორედ ეს შეიძლება გახდეს ტექნოლოგიური დეტერმინიზმის უფრო დეტალურად შესწავლის შესაძლო მიზეზი.

ამერიკელმა ისტორიკოსმა, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიის ინსტიტუტის, ტექნოლოგიის ისტორიის პროფესორმა მერიტ როსმიტმა, 1994 წელს, გამოაქვეყნა სამეცნიერო ნაშრომი – „Does Technology Drive History?“ (ტექნოლოგია წარმართავს ისტორიას?).<sup>9</sup> დღეს კი ნამდვილად ნათლად დაგინახეთ ამ რიტორიკული კითხვის პასუხი, რომ ტექნოლოგიურ წინსვლას და ინოვაციებს დიდი ძალა აქვთ, რომ შეაფერხონ ან შეცვალონ ისტორიული მოვლენები და საზოგადოების განვითარება.

ვფიქრობთ, მართებული იქნება მოქმედებაში განვიხილოთ ტექნოლოგიური დეტერმინიზმის რამდენიმე მაგალითი:

- სტამბა – მე-15 საუკუნეში იოჰანეს გუტენბერგის მიერ სტამბის გამოგონებამ რევოლუცია მოახდინა კომუნიკაციაში და გადამწყვეტი როლი ითამაშა ცოდნის გავრცელებაში, რეფორმაციასა და თანამედროვე ეროვნული სახელმწიფოების წარმოქმნაში.
- ორთქლის ძრავა – განვითარდა ინდუსტრიული რევოლუციის დროს, რომელმაც გარდაქმნა ტრანსპორტი, წარმოება და მრეწველობა, რამაც გამოიწვია ღრმა ცვლილებები საზოგადოების და ეკონომიკის სტრუქტურაში.
- ავტომობილები – ამ წარმოების განვითარებამ და მასობრიობამ განაპირობა ურბანული დაგეგმარების, ცხოვრების სტილისა და სამომხმარებლო კულტურის ცვლილებები, რამაც ხელი შეუწყო სუბურბანიზაციას და შორ მანძილზე მგზავრობას.
შესრულების ფორმა საფერხულოა, რის გამოც ცეკვა-თამაშად იწოდება. ამგვარ საცეკვაო მისტირებს, ძირითადად, თეატრალიზებული სახე ჰქონდა. ბარაქიანობისა და ნაყოფიერების ღვთაებათა სადიდებელი ცეკვები წრიული ფერხულის სახითაც გვხვდება, რაც ცხადყოფს მრავალფეროვანი ქორეოგრაფიული ელემენტების მქონე კულტის არსებობასა და ცეკვის მნიშვნელობას საწესჩვეულებო რიტუალებში, როგორც მისტიკურ სამყაროსთან კონტაქტის საუკეთესო ფორმასა და ღვთაებათა სადიდებელი საშუალებას.

**საკვანძო სიტყვები:** *ფერხული, ცეკვა, რიტუალი, საქორწილო წეს-ჩვეულებები, ხარის კულტი*

ხალხური ტრადიციული წეს-ჩვეულებებისა და საგაზაფხულო ციკლში აგრარული ცეკვების შესწავლისას, განსაკუთრებულ ყურადღებას მოსავლის ნაყოფიერებასთან დაკავშირებული ქმედებებისა და საქორწილო წეს-ჩვეულებების ურთიერთკავშირი იქცევა, რომლის გადაკვეთის წერტილსაც პურეული ღვთაებების სადიდებელი ცეკვები წარმოადგენს. ქორწინების მრავალსაფერხურიან ინსტიტუტში არსებული ნაყოფიერების ნიშნები თავს იჩენდა საგაზაფხულო ხვნა-თესვის პროცესში. საქორწილო-რიტუალური ცეკვები უზრუნველყოფდა წყვილის ნაყოფიერებას – გულისხმობდა პატარძლისა და სიძის ცეკვას, რაც ადამიანის გამრავლების ციკლში, ერთგვარ რიტუალს გულისხმობდა – ძირითად ფუნქციას „ნეფე-დედოფალი“ ითავსებდა. მოსავლის უზრუნველსაყოფ რიტუალებში, ქორწინების ნაცვლად, პირველი ხნულის გავლება იყო მნიშვნელოვანი, სადაც მთავარ ფიგურას არა ნეფე-დედოფალი, არამედ აგრარული სამუშაოების სიმბოლო „ხარი“ წარმოადგენდა – შედეგი საქორწილო რიტუალებში ჩანდა. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ქართლში, ქორწილში ხარის დაკვლა იცოდნენ, რო-

მელსაც აუცილებლად უნდა დასწრებოდა ნეფის მაყარი და ოჯახის წევრები. ისინი ხარის გარშემო შეკრავდნენ წრეს, დაუკრავდნენ სათამაშოს და ნეფე წრის შიგნით მდგარი ხარის გარშემო დაუვლიდა ლეკურს, რის შემდეგაც იკვლებოდა საკლავი.

ქორწილში ლეკურის შესრულების ფაქტს იმერეთშიც ვხვდებით. „ახალგაზრდები ორ გუნდად გოგონებად და ვაჟებად იყოფოდნენ, ორივე გუნდს წინამძღოლი ჰყავდა და გაშაირების მსგავსი შეჯიბრი იმართებოდა მანამ, სანამ სიმღერის მარაგს არ ამოწურავდნენ. პარალელურად იმართებოდა ქალ-ვაჟთა იუმორისტული-სალაღობო ცეკვა – შაირობა. ამ გაშაირებასთან დაკავშირებით აკაკი წერეთელი გვაწვდის ინფორმაციას, რომლის თანახმადაც ქორწილში ცეკვა ლეკურის შესრულება იცოდნენ“.<sup>1</sup>

აღსანიშნავია, რომ ხვნისა და საგაზაფხულო სამიწათმოქმედო სამუშაოებში, ხარის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მთელ მსოფლიოში. მას ნაყოფიერების სიმბოლოდ, გლეხი კაცის ერთგულ მეგობრად და დამხმარედ მოიხსენიებდნენ. მისი კულტი უდავოდ დიდ როლს თამაშობდა აგრარულ საგაზაფხულო რიტუალებში. სვანეთში ხარი გამანაყოფიერებელ ღვთაებად იყო მიჩნეული. ინდურ მითოლოგიაშიც ხარი – გამანაყოფიერებელი ცის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი (ინდოეთში დღესაც არის ძროხის კულტი). ხარ-ძროხის ტოტემის არსებობის ნიშანია მათი რქების შენახვა, სვანეთის ეკლესიებში და შეწირვის ძველი წესი (სწირავდნენ უშგულის ლამარიას და სხვა); თეთრი სამსხვერპლო ხარი კულტის რანგში გადიოდა, როგორც ევგვიპტეში აპისი. აღნიშნულ საკითხზე საინტერესო მასალებს გვაწვდის გიორგი აღიბეგაშვილი, რომელიც ხარს ღვთისგან დალოცვილ არსებად და გლეხის ნუგეზად მოიხსენიებდა. იგი აღნიშნავს, რომ ხარი ზეციური სამყაროს საჩუქარია – მას წყვილი სანთელი დაადგეს ანგელოზებმა ორივე რქაზე და ამ დავალებით „გააგზავნეს ქვეყანაზედა“. ექვსი დღე იმუშავე და მეშვიდე დღეს დაისვენ<sup>590</sup>. რასაც შემდეგი ლექსი გვამცნობს:

„ორშაბათობით აშენდა ციხე-ქალაქი კლდეზედა,  
აღამიანის დარჩენა ვერავინ იღო თავზედა,  
ხარმა თქვა პირმა-ნათელმა: მე დამაწერეთ თავზედა,

<sup>1</sup> მაჩაბელი, ქორწინების, 1978, გვ. 43.

ჩამოქნეს წყვილი სანთელი, მიაკრეს ორთავ რქაზედა,  
ვინც კვირა-უქმით შეგაბას, ხელი შეახმეს მკლავზედა!“. <sup>2</sup>

შუბლზე მიმაგრებული სანთლების კაშკაში, ციურ ნათებას, მზის სიმბოლოს უნდა განასახიერებდეს, რომელიც ესოდენ წმინდას ხდიდა საკულტო ცხოველს. სწორედ ამიტომ ეგვიპტეში დღემდე აქვთ შემორჩენილი ჰიმნის მსგავსი ლექსი: „მზე შემოაქვთ რქებით ხარებს, მზე შენია, ბარბარ-დოლაში!“. <sup>3</sup>

საქართველოში, გაზაფხულზე, პირველი კვალის გავლებისას ხარის რქებზე სანთლების დანთება იცოდნენ. სანთელი სინათლესთან (მზესთან) ასოცირდება. საყურადღებოა, რომ ეგვიპტურ მითოლოგიაში ელვით დამაკებულმა დეკეულმა შვა მზე. რაც მზისა და ხარის კულტის ურთიერთკავშირს კიდევ უფრო ამყარებს. ეს ორი გამანაყოფიერებელი სიმბოლო მნიშვნელოვან როლს ასრულებს საგაზაფხულო საწესო და საქორწილო ცეკვებში.

რადგან ხვან-თესვის სამიწათმოქმედო რიტუალებში სანთელმა და ქალ-ვაჟის განმასახიერებელმა ციურმა მნათობებმაც იჩინეს თავი, არ შეიძლება არ განვიხილოთ მეტად საინტერესო სარიტუალო ცეკვა „შვიდი წყვილი ფერხული“, რომლის შესრულების დროსაც, უხვი მოსავლისათვის ლოცულობდნენ. ფაქტია, რომ სამცხე-ჯავახეთში ქორწილის დროს დიდი ადგილი ეკავა ფერხულს, ნეფე-დედოფალს ფერხულით უნდა „მიჭებებოდნენ“, სადაც მამაკაცებთან ერთად ქალებიც იღებდნენ მონაწილეობას. „აღნიშნული ფერხული ნელი და დინჯი იყო, რომლის შესრულების დროსაც მოცეკვავენი სამ ნაბიჯს წინ გადადგამდნენ, ორს უკან და ასე ატრიალებდნენ ფერხულს. ცეკვაში მონაწილეობას ყველა იღებდა სურვილისამებრ და რაოდენობა განსაზღვრული არ იყო. მეორე დღეს „ნეფის გადანადირება“ იცოდნენ, სადაც „შვიდწყვილი ფერხული“ სრულდებოდა“. <sup>3</sup> ფერხულში მხოლოდ ცოლ-ქმარი ებმებოდა, რომელთა რაოდენობა აუცილებლად შვიდი უნდა ყოფილიყო. აღნიშნულ ფერხულში ნეფე-დედოფალიც იღებდა მონაწილეობას, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ წყვილი ხელში ანთებული ჯვრისწერის სანთლებით (კელაპტრებით) წრიულად მოძრაობდა. სამცხე-ჯავახეთში ფერხულს სხვადასხვა რა-

<sup>2</sup> ტინგარაული, ლექსო, 1985, გვ. 66.

<sup>3</sup> იველაშვილი, საქორწილო, 1987, გვ. 90.

ოდენობით უვლიდნენ – ჯავახეთში სამჯერ, სამცხეში კი შვიდჯერ, რის შემდეგაც მთავრდებოდა ქორწილი. მისი ანალოგია სომხური საქორწილო რიტუალი, რომელსაც თან ახლდა ცეკვა სანთლებით – თავისი შინაარსით ნაყოფიერებისა და უხვი მოსავლიანობის გამოთხოვების ნიშნებს შეიცავდა. მას ასევე უწოდებდნენ „პატარძლისა და სიძის ცეკვას“, „ცქრიალას“ და ასე შემდეგ. სახელები დაკავშირებული იყო არა ცეკვის ტიპებთან, არამედ მათ შინაარსთან, ამ ტიპის ყველა ცეკვას ახასიათებდა ნელი და დინჯი ნაბიჯები. „სალამოს, ქორწილის შემდეგ, ყველა ცეკვავდა, ისინიც კი, ვინც ქორწილში არ იყო დაპატიჟებული. შუალამისას, ნეფე დედოფალი მოცეკვავებდა წრეში ექცეოდა და იწყებოდა „ცეკვა სანთლებით“.<sup>4</sup> ამ ცეკვაში შვიდ წყვილს უნდა მიეღო მონაწილეობა. რიტუალს ასრულებდნენ დაქორწინებული წყვილები სანთლებით ხელში. მოცეკვავები ერთმანეთის გვერდიგვერდ, მხარი-მხარ იდგნენ, წრის ცენტრისკენ, ხელჩაკიდებულნი და ქმნიდნენ წრეს ბოროტი სულების განსადევნად. პატარძალი და საქმრო მხოლოდ სამ წრეს შემოუვლიდნენ, შემდეგ კი მათ გარეშე გაგრძელდებოდა ფერხული მანამ, სანამ სანთლები არ ჩაქრებოდა. საყურადღებოა, რომ ცეკვის დროს, საქმრო მარჯვენა ჯიბიდან ხორბლის მარცვლებს ამოიღებდა და მოცეკვავებს შეაყრიდა – კარგი მოსავლის უზრუნველსაყოფად. ციფრი შვიდის საკრალური მნიშვნელობა პირველი ხნულის გავლების დღესაც იკვეთება. თესვის დაწყებამდე გლეხი 7 მარცვალს ამოარჩევდა ყოველი თესლიდან, სპილენძის სინზე დაყრიდა და ისე გაიტანდა მინდორში. თესლეულში ასევე რკინის (ლურსმნის) ჩადებაც იცოდნენ. რკინის კვალი იკვეთება საქორწილო რიტუალშიც. ქართლში ვაჟის ოჯახში სრულდებოდა „ვარცლის დადგმა“, რომელიც ოჯახის ბედნიერებასა და ნაყოფიერებასთან იყო დაკავშირებული, მისი შესრულება აგრარული ღვთაების პატივსაცემად, მოსავლის უზრუნველსაყოფად იცოდნენ. ამ წესს თან ახლდა რიტუალური ქმედებები, ფქვილის გაცრის დროს თავზე წითელი ნაჭრის დადება, ვარცლის დალოცვა, საცერში ფულის ჩაყრა და სხვა. აღსანიშნავია, რომ საქორწილო რიტუალში მარცვლეულის, ნაყოფიერების სიმბოლოდ გამოყენება, საქართველოში ხშირად გვხვდებოდა.

<sup>4</sup> Анчабадзе, Армяне, 2021, ст. 414.

სამეგრელოში პატარძალს პირველი დედამთილი მიეგებებოდა, მას ტკბილეული და ფეტვის მარცვალი ეკავა ხელში, რომელსაც გამრავლებისა და ნაყოფიერების ნიშნად გზადაგზა წინ უყრიდა. თვითონ პატარძალიც ამავე მოტივით მიმოფანტავდა არემარეს ფეტვის მარცვლით, სახლში შესვლისას კი გადაჯვარედინებული ხმლების ქვეშ (ალაიაში) გაატარებდნენ. „სამეგრელოში ასევე არსებობს ქორწილში შესასრულებელი საღალაობო სიმღერა „ჩარირამა“ რომელიც შრომის სიმღერების ჯგუფს განეკუთვნება. გადმოცემით მისი შესრულებისას ცეკვავდნენ, მაგრამ რა სახის ცეკვა სრულდებოდა ცნობილი არ არის, შესაძლოა ფერხული სრულდებოდა, რადგან მისი ერთ-ერთი ვარიანტი ნიკოლოზ ახმეტელაშვილის კრებულში საფერხულებთანაა მოთავსებული“.<sup>5</sup>

„მთიულეთში ქორწილის დროს „ჯვრის წინასა“ სრულდებოდა, ფერხულში არსებული ტრადიციული ტექსტის დაცვით, საყურადღებოა, რომ აღნიშნული სიმღერა სრულდებოდა სამიწათმოქმედო სამუშაოების დაწყების წინ, (შესაბამისი შინაარსის ტექსტის შეცვლით) გრიგოლ ჩხიკვაძის თქმით მთიულურ „ჯვარულსა“ და „ნამგლურს“ ძალიან ბევრი საერთო აქვს ფშაურ საქორწილო და საფერხულო სიმღერებთან“.<sup>6</sup>

ართვინში „უზუნდერეს“ ცეკვავდნენ ახალგაზრდა პატარძლის გარშემო, რომელიც ცომს ზელდა, გარშემო მყოფი მოცეკვავეები კი თავზე ხორბალს აყრიდნენ ბარაქისა და გამრავლების ნიშნად.

აფხაზეთში შრომის პროცესის ამსახველ უძველეს ფერხულს წარმოადგენდა „აიბარკრა“ რომელმაც დროთა განმავლობაში სახე შეიცვალა და დღეს უკვე ფორმაშეცვლილი ქორწილის დროს სრულდება. წრის შუაგულში, ნაბდის ქვეშ დგას ნეფე დედოფალი, მოცეკვავეები მღერიან „აიბარკრას“, მათგან ერთ-ერთი დედოფლის ფეხებთან მათრახს ურტყამს მიწას, რათა აახტუნოს და მეტად გამოაცოცხლოს ცეკვა. ყოველივე ამის გათვალისწინებით შეიძლება ვიფიქროთ, რომ „აიბარკრა“, ფერხულ „ოსხაპუეს“ მსგავსად, ნაყოფიერების ღვთაებას ეძღვნებოდა და შრომის პროცესის თანმხლები იყო. ზოგჯერ „აიბარკრა“ ცხენების მონაწილეობითაც სრულდებოდა. ასევე საინტერესოა ის ფაქტი, რომ ლაზები შრომის სიმღერას (ჰელესა) ქორწილში მღეროდნენ, რასაც მოჰყვებოდა საერთო ცეკვა-თამაში.

<sup>5</sup> ჩოხელი, ქართული, 1990, გვ. 109.

<sup>6</sup> მამალაძე, შრომის, 1963, გვ. 77-78.



როგორც ჩანს, საქორწილო ჩვეულებებმა ნაყოფიერების სიმბოლოდ მრავალი დეტალი შეითვისა აგრარული კალენდარული რიტუალებიდან. ის ახლო ურთიერთობას ცხადყოფს შრომის სიმღერებთან და ცეკვებთან, როგორც გენეტიკური, ასევე ტიპოლოგიური თვალსაზრისით. ელენე ვირსალაძე კიდევ უფრო მეტ მსგავსებას პოულობს საგამაფხულო ჭონისა და საქორწილო ტექსტების დაპირისპირებისას. იგი აღნიშნავს, რომ ორივე შემთხვევაში ნაყოფიერებისა, ხვავიანობისა თუ ბარაქიანობის სურვილები ერთი და იმავე ფორმულებით გამოითქმის.

ამასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა ვახსენოთ აჭარული საქორწილო წეს-ჩვეულება „ფადიკო“, რომელიც სრულდებოდა როგორც ქორწილში, ასევე, დოვლათის ნაყოფიერებისთვის მიძღვნილ შუამთობის დღესასწაულზეც. მასში უხვადაა ბერიკაობა-ყენობის იდენტური ქმედებები, რომელიც ხაზს უსვამს მის პირვანდელ ფუნქციას და წარმოადგენს როგორც ბუნების ძალთა აღორძინებისადმი მიძღვნილ უძველეს მისტერიას, - სახუმარო „სამობა“. ცეკვა „ფადიკო“ „ხარმანობის“ დროსაც სრულდებოდა. რიტუალი დოვლათის უზრუნველყოფის მიზნით კალოზე, მოტეხილი და დაყრილი სიმინდის გარჩევისას იცოდნენ, სადაც ნაღს იწვევდნენ. ქორწილში ცეკვით სახლის, ბელლისა და სიმინდების შემოვლა უცხო არ იყო, ცეკვა-სანახაობა „ო, ჰოი ნანოშიც“ სადაც ორიგინალური დაკლაკნილი ხაზებით, ხელჩაკიდებულნი ასრულებდნენ ცეკვას რომელსაც წინამძღოლი, წკეპლით ხელში მართავდა. საქორწილო პროცესის კავშირი საგამაფხულო კალენდარულ ციკლთან, ცერემონიის გაზაფხულზე გამართვამ გამოიწვია. საგამაფხულო დღეობებისა და ლხინის დროს დასაოჯახებელი ქალ-ვაჟი ყოველთვის ყურადღების ცენტრში ექცეოდა. ისინი ცეკვავდნენ, მღეროდნენ, ლექსებით მიმართავდნენ ერთმანეთს. ხუმრობა და შაირი ყოველთვის თან ახლდა სახალხო დღესასწაულებს, თუმცა ჩვენთვის საყურადღებოა ერთი ხალხური ლექსი, რომელშიც მკაფიოდ იკვეთება არქაული სიმბოლიზმისა და აგრარულ სიმბოლოთა კვალი:

„უხვი მიწა ხარ სახნავად,  
ჯერ სახნის მიუდებელი,  
მიწა, ხარ, ყანა ყამარი,

ჯერ კორდი გაუტეხელი,  
სიყვარული მაქვს მე შენი,  
ანგარიშ მიუწვდომელი“.<sup>7</sup>

„ტექსტში მოყვანილი სიტყვები (ყანა ხარ, ყანა ყამარი) მის სიძველეზე და სატრფიალო მოტივების აგრარულ ციკლთან შერწყმაზე მიანიშნებს, როცა ქალი გაიგივებული იყო მიწის ნაყოფიერებასთან, რაც ბევრ რიტუალში მჟღავნდება: „ხვანა, ხალხური გაგებით, სქესობრივი აქტია, სადაც მიწა მდებრობითი სქესის წარმომადგენელია და ნაყოფიერების საშო, ხოლო ერქვანი – ფალონი“.<sup>8</sup>

სამეგრელოში ეროტიკული შინაარსის საგაზაფხულო თამაში იცოდნენ, რომელშიც მოზრდილი გოგო-ბიჭები იღებდნენ მონაწილეობას. ეს თამაში „ხოჯობაიას“ – „ფურობაიას“ – (ხარობია, ფურიბია) სახელით იყო ცნობილი – საინტერესოა, რომ მოსავლის ნაყოფიერებისათვის სრულდებოდა. „ახალ დათესილი მინდვრის ერთ მხარეს გოგონები დადგებოდნენ, სიმაღლის მიხედვით, მეორე მხარეს ამავე რაოდენობის ბიჭები. მათ შორის მანძილი სახნავ-სათესი მინდვრის მოცულობაზე იყო დამოკიდებული“.<sup>9</sup> საყურადღებოა, რომ კვალთა შორის მანძილს „მაია“ ერქვა, რადგან ამ სახელწოდების თამაში გავრცელებული იყო გურიაში, რომელიც ასევე ორმწკრივად სრულდებოდა.

„მაია“ ასევე ეროტიკული ელემენტებით იყო გამდიდრებული და მიწისა და ცის მისტიკურ ქორწინებას წარმოადგენდა. „პროცესიაში მონაწილენი ოთხზე დადგებოდნენ; ბიჭები კურობივით ბლაოდნენ, გოგონები ძროხებივით. თამაშის ერთ-ერთი აღმწერის ცნობით მონაწილეებს ტილოს გრძელი პერანგის გარდა არაფერი ეცვათ. მოსავლისა ნაყოფიერებისათვის განკუთვნილი ეს რიტუალი პარალელს პოულობს არაერთი ხალხის ყოფაში დამოწმებულ წეს-ჩვეულებაში, რომელიც ახალ გავლებულ ხნულზე სექსუალური სცენის გათამაშებას გულისხმობს“.<sup>10</sup> მსგავსი მრავალი მაგალითი ჯერ კიდევ მოგვეპოვება საქართველოში.

<sup>7</sup> ვირსალაძე, სიხარულიძე, ჩიქოვანი, ქართული, 1975, გვ. 37.

<sup>8</sup> გიორგაძე, ქართული, 1993, გვ. 118-119.

<sup>9</sup> ანთელავა, კავკასიის, 2017, გვ. 457.

<sup>10</sup> ლოლობერიძე, ხალხური, 1980, გვ. 140-141.

ნაშრომში მოყვანილი მასალა ცხადყოფს ხარის კულტისა და საქორწილო რიტუალების პირდაპირ კავშირს, როგორც ადამიანების, ასევე მოსავლის სიმრავლესა და ნაყოფიერებასთან. აღსანიშნავია, რომ გაზაფხული თავისი მრავალფეროვანი ციკლით თავისთავად მოიაზრება როგორც მიწისა და ცის, პირველი ხნულისა და ღამის (ჩასული მზის) მისტიკური ქორწინება. სწორედ ამიტომ საგაზაფხულო ხვნა-თესვის სამიწათმოქმედო რიტუალებში ქალისა და მამაკაცის განმასახიერებელმა ციურმა მნათობებმაც იჩინეს თავი რომელთა დანიშნულებას მიწის განაყოფიერების სისტემაში არაერთი სიმღერა და ცეკვა ცხადყოფს. ასეთია მზის კულტთან დაკავშირებული ქართული საფერხულო თამაში „მეცას ვიყავ მეცა ვნახე“, რომლის სიმღერის ტექსტშიც წარმოჩენილია მიწათმოქმედებისა და გაღმერთებულ მნათობთა ურთიერთკავშირი. სავსებით შესაძლებელია, ერთ დროს საქორწილო რიტუალებიც, გაზაფხულთან, ბუნიაობის განახლების პერიოდთან ყოფილიყო დაკავშირებული, – საგაზაფხულო დღეობათა ციკლის ნაწილი ყოფილიყო. სწორედ ამ დროს სრულდებოდა აღმოსავლეთის ღვთაებათა ქორწინებაც, რასაც თავად აღნიშნული დღესასწაული უკავშირდება.

როგორც აღვნიშნეთ, საქორწილო მისტერიის წინამძღოლს ნეფე-დედოფალი განასახიერებდა, ხოლო მოსავლის ნაყოფიერების რიტუალს ხარი წარმართავდა. მიუხედავად იმისა, რომ მიზანი საერთოა და ორივე შემთხვევა ნაყოფიერების კულტს ემსახურება, მათთვის განკუთვნილი სარიტუალო ცეკვები მაინც განსხვავებული სახით სრულდება. ამრიგად, უნდა გამოვყოთ გაზაფხულის ციკლში არსებული, ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული ორი – განსხვავებული, სარიტუალო ფერხული – მისი შესრულების ფორმა. პირველი ეს უნდა იყოს უშუალოდ ადამიანის გამრავლებისათვის ჩატარებული რიტუალი, რომელიც ქორწილის სახით არის წარმოდგენილი. არსებულ მასალებზე დაყრდნობით, რიტუალის აუცილებელ თანმხლებ მოქმედებას წრიული საფერხულო ცეკვა წარმოადგენს, რომელსაც წრის შიგნით მოთამაშე ჰყავს, სადაც შესაძლოა იყოს ხარი, ნეფე-დედოფალი ან მხოლოდ ნეფე.

მეორე – ეს არის აგრარულ კულტთან დაკავშირებული სარიტუალო ცეკვა-თამაშები, რომელთა უმთავრეს ფუნქციას მოსავლის ბარაქიანობა და წლიური სამეურნეო ციკლის ნაყოფიერება

წარმოადგენს. ისინი ჩვენამდე თამაშის სახითაა მოღწეული, თუმცა მათი შესრულების ფორმა საფერხულაა, რის გამოც ცეკვა-თამაში ეწოდება. ამგვარ საცეკვაო მისტერიებს, ძირითადად თეატრალიზებული სახე ჰქონდა, ის პანტომიმური, ეროტიკული თამაშებითა და შეჯიბრებით გამოირჩეოდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიწის განაყოფიერებისთვის შესრულებული თამაშების ფორმა ძირითადად ორ მწკრივული იყო, ზემოთ განხილული მაგალითების გარდა, ორ მწკრივულია სლავურ კალენდარში აღბეჭდილი ხალხური თამაში – „დედა გაზაფხული მოდის“. თუმცა ბარაქიანობისა და ნაყოფიერების ღვთაებათა სადიდებელი ცეკვები წრიული ფერხულის სახითაც გვხვდება, რაც ცხადყოფს მრავალფეროვანი ქორეოგრაფიული ელემენტების მქონე კულტის არსებობას. ცეკვის მნიშვნელობას საწესჩვეულებო რიტუალებში, როგორც მისტიკურ სამყაროსთან კონტაქტის საუკეთესო ფორმასა და ღვთაებათა სადიდებელ საშუალებას.

#### ბიბლიოგრაფია:

- Анчабадзе Ю.Д., Армяне, В Исторических И Этнокультурных Процессах XVIII—XXI Вв. М., 2021.
- ალიბეგაშვილი გ., ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები V–VIII კლასებისათვის, თბ., 1992.
- ანთელავა ნ., კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები, უნივერსალი, თბ., 2017.
- გელოვანი ა., მითოლოგიური ლექსიკონი, 1983.
- გვარამაძე ლ., ქართული საცეკვაო ფოლკლორი, თბ., II გამოცემა, 1997.
- გიორგაძე მ., ქართული ხალხური კალენდარული საწესჩვეულებო პოეზია, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება XI, მეცნიერება, 1993.
- ვირსალაძე ლ., მთისა და ზემო რაჭის საწესჩვეულებო პოეზიის მოგიერთი საკითხი, ხალხური პოეზია და პროზა, ქართული ფოლკლორი, ტ. 7, თბ., 1977.
- თანდილავა ზ., ლაზური ხალხური პოეზია, 1972.
- თოფჩაშვილი რ., საქართველოს ეთნოგრაფია, ეთნოლოგია, უნივერსალი, თბ., 2010.
- იველაშვილი თ., საქორწილო წეს-ჩვეულებები სამცხე-ჯავახეთში (XIX ს. II ნახ.-XX ს.) მეცნიერება, თბ., 1987.

- 
- 
- მამალაძე თ., შრომის სიმღერები კახეთში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1963.
  - მაჩაბელი ნ., საქორწილო წეს-ჩვეულებები ქართლში., საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები, კრებული. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის ტ. XV, მეცნიერება თბ., 1970.
  - რუსაძე ჯ., ეთნოგრაფიული გულანი, თბ., 2003.
  - სამუშია კ., ქართული ხალხური პოეზიის საკითხები (მეგრული ნიმუშების მიხედვით), მეცნიერება, თბ., 1979.
  - ქართული ხალხური პოეზია, ტ. 2 , ნაკვეთი 2, თბ. 1975.
  - ლოლობერიძე ნ., ხალხური გართობა-თამაშობანი გურიაში, მასალები გურიის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1980.
  - ჭანიშვილი რ., აჭარული საცეკვაო ფოლკლორი და მისი განვითარების ზოგიერთი საკითხი, სამეცნიერო შრომების კრებული II, თბ., 2004.
  - ხოსიტაშვილი ს., ქორწინებისა და მიცვალებულის დაკრძალვის წესი სამცხე-ჯავახეთში (ეთნოგრაფიული ნარკვევი), საბჭოთა საქართველო, თბ., 1983.
  - ვირსალაძე ე., სიხარულიძე ქ., ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური პოეზია, ტ. 2 თბ., 1975.

# დრამის რეჟისურა

სოფიკო კიკაბიძე,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა  
და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,  
ხელმძღვანელი – თეატრალური ხელოვნების დოქტორი,  
გიორგი აფხაზავა

## ქართული ხალხური ცეკვის ფორმაცვალებადობა და სახეცვალებადობა, მისი დროში ადაპტაცია

### რეზიუმე

ქართული ხალხური საცეკვაო ხელოვნება ერთგვარი საცავია განათლებისა და კულტურის, რომელსაც ქართველი ერი, მისი არსებობისა და ისტორიის განვითარებისას საუკუნეების განმავლობაში, თანდაყოლილად იძენდა და აგროვებდა. შთამომავლობით გადმოცემული ინფორმაცია დღემდე აქტუალობას არ კარგავს – დროში ადაპტირების, განვითარებისთვის დამახასიათებელი ნიშნების არსებობის გამო.

ქართული ხალხური ცეკვის ფორმა-სახეცვალებადობა, დროში ადაპტირება – ეს არის ცოცხალი პროცესის დამახასიათებელი უნივერსალური უნარი, რომელიც ერში კულტურული მემკვიდრეობით ხასიათდება, თავისი დადებითი და უარყოფითი ფაქტორების გამოვლენით – 1. ავტორიზაციის უქონლობა, დაუდგენლობა, 2. ვიზუალური მხარის სიმწირე, რომელიც მხოლოდ თეორიულ წყაროებში არსებული დაარქივებული ინფორმაციებით შემოიფარგლება.

3. ზოგიერთი მათგანი განვითარებისთვის დამახასიათებელი ნიშნების უქონლობას ავლენს, 4. ასევე, მათ შორის უცხო კულტურის შემოდინებისა და დამკვიდრების ტენდენციების არსებობა ფიქსირდება, აზიურ-ევროპული კულტურის გავლენების საფუძველზე.

ფოლკლორულ ცეკვებთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია: საარქივო, ისტორიული, თეორიული, არქეოლოგიური, აგრეთვე საქსპედიციო მასალები, შემოქმედთა უშრეტ წყაროს წარმოადგენს და ფორმა-სახეცვალებადობის საფუძველზე მის სიცოცხლისუნარიანობას, დროში ადაპტირებას ამტკიცებს. ასევე ამ უნივერსალური უნარით ეყრდნობა მემკვიდრეობით და არამემკვიდრეობით ცვალებადობრივ მოვლენას. კულტურული მემკვიდრეობისა და განვითარების შედეგობრივი პროცესი, საწყისიდან დღემდე, უწყვეტად მიმდინარეობს და ქართული ხალხური ცეკვის ისტორიის განვითარების მანძილზე, მისი არსებობის ყველა

ეტაპზე, ყოველთვის ახალი ფორმით გვევლინება. რითაც დროში ტრანსფორმირებული, მოდიფიცირებული და ახალი ფორმით წარმოდგენილი ქართული ხალხური ცეკვა თანამედროვე სასცენო სივრცეშიც ახერხებს ადაპტაციას.

**საკვანძო სიტყვები:** ცეკვა, ქორეოგრაფია, ვიზუალიზაცია, ადაპტაცია, ფორმაცვალებალობა, სახეცვალებალობა, ხალხური, ფოლკლორი

ქართული ხალხური ქორეოგრაფია არის ცოცხალი ორგანიზმი, რომელსაც გააჩნია სახეცვალებალობისა და ფორმაცვალებალობის უნარი, რის შედეგადაც დროში ახერხებს ადაპტაციას. ფორმაცვალებალობა, ისევე, როგორც სახეცვალებალობა, წარმოადგენს ვიზუალიზაციის შემოქმედებით მხარეს. ვიზუალიზაციურმა დაკვირვებამ და მოძრაობების შესწავლამ, თვალით დანახულის გამეორებამ, დამახსოვრებამ და გადმოცემამ შემდგომში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ხალხური სასცენო ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში. ყოველი შემსრულებელი პირველწყაროს, პირველსახეს თავისებური შესრულების პლასტიკური მანერით ან რაიმე დეტალის დამატებით ამდიდრებდა, რამაც ავტორიზაციის, საავტორო უფლების უქონლობა გამოიწვია და დაფუძნდა როგორც ხალხური. სწორედ ამიტომაც, თაობათა მიერ შენახული ინფორმაცია ერის კულტურულ მემკვიდრებას წარმოადგენს.

„კულტურული მემკვიდრება წარმოადგენს სოციუმის კულტურულ ხატს, რომელიც შედგება ენობრივი ფენომენების, მათ შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი და ფუნქციური კავშირების, ღირებულებების, წესებისა და ნორმებისაგან. იგი თაობიდან თაობას გადაეცემა და ქმნის ეროვნული ცნობიერების ღერძს“.<sup>1</sup> ვინაიდან XIX საუკუნემდე ტექნიკური ფიქსირების ფორმა არ არსებობდა, დღესდღეობით ქართული ხალხური ცეკვის ვარიანტებს, ვეძიებთ და ვეცნობით მხოლოდ ტექსტუალურ აღწერილობებში, გეპირად გადმოცემებით, ისტორიულ და არქეოლოგიურ წყაროებში, შეგროვებულ საექსპედიციო მასალების საშუალებით – რომლებშიც დასტურდება ცეკვის არსებობაც, მისი შინაარსიც და სახელწოდებაც.

ექსპედიცია – ეს არის მოგზაურობა (ერთის ან ჯგუფის), მიზანმიმართულად ჩატარებული კვლევითი პროცესი, სპეციალური ან ნაცნობი ინფორმაციის შევსება-შეგროვების, მოძიების, კიდევ



უფრო ახალი მასალებით გამდიდრების მიზნით. ექსპედიციის შედეგად გროვდება ხალხში არსებული მონაცემები, რომლებიც საკმაოდ მრავალფეროვან და მნიშვნელოვან ფაქტობრივ მასალას წარმოადგენს. მაშასადამე, თეორიული და პრაქტიკული საექსპედიციო, ფოლკლორული მასალებით საზრდოობს ხალხური სასცენო ქორეოგრაფიული ხელოვნება. ის ქორეოგრაფთა ახალი ფორმების, ვარიანტების ძიების, შემოქმედებითი გადაწყვეტის, აღმოჩენების საძირკველია.

სამწუხაროდ, ზეპირი გადმოცემით ან წერილობით წყაროებზე დაყრდნობით გვხვდება პრაქტიკაში დაკარგული ფოლკლორული ცეკვები, რომლებმაც, პირველი, ვერ განიცადეს ფორმა-სახეცვალებადობა, ვიზუალიზირებული გადმოცემის უკმარისობის გამო. მეორე, რომელთა შინაარსიც და რიტუალთა შესრულების წესიც ვერ მოხვდა თანამედროვეთა იდეოლოგიის თანხვედრაში. იგულისხმება ქრისტეს შობამდე გავრცელებულ განაყოფიერების, ძეობის და ასე შემდეგ, რიტუალებთან დაკავშირებული, მასობრივი ან ცალკეულ პირთა შესრულებული, საფერხულო თუ დამოუკიდებელი ცეკვების ნაწილი, რომლებმაც თავის არსებობის ეტაპზე შეაჩერეს განვითარება და ამჟამად ისინი ხელშეუხებლად არსებობენ აღწერილ დოკუმენტურ წყაროებში. ზოგიერთი მათგანი, მოცემული მიზეზების გამო, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დაუფიქსირებლადაც გაქრნენ.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში მყოფ ქართულ არამატერი-ალურ მემკვიდრეობით კულტურას, მის წარმომავლობას და ინდივიდუალურობას საგანგაშო მდგომარეობა შეექმნა. საქართველოში უცხოელთა ხანგრძლივმა ბატონობამ და ძალმომრეობამ, ქრისტიანული ეკლესიის შევიწროების შედეგად, მუსულმანური აღმსარებლობის თანდათანობით გავრცელებამ და სარწმუნოებრივმა მერყეობამ, დიდებულთა თავაშვებულობამ და ზნეობრივმა დაცემულობამ, დეგრადირებამდე მიიყვანა ქართველი ხალხი. დღის წესრიგში დადგა საზოგადოებრივი ცხოვრების, კერძოდ, ქართული მორალური, სულიერი გაჯანსაღებისა და გადარჩენის, მომავლისთვის ზრუნვის პრაქტიკული საკითხები.<sup>2</sup>

ამ პერიოდში ქართულ კულტურაში ირანული კულტურის შემოღინებისა და დანერგვის ტენდენციები ვლინდება, რომლის ან-

<sup>2</sup> მურდულია, ვახტანგ VI.

ტიეროვნულ მიმართულებებს უპირისპირდებოდნენ მოღვაწენი: სულხან-საბა ორბელიანი, მეფე არჩილი, ვახუშტი ბატონიშვილი და თეიმურაზ II. ტრადიციების შენარჩუნების მიზნით, მათი ბრძოლა გამოიხატებოდა მრავალი ლიტერატურული ჩანაწერის შექმნით, თავიანთი დროის ყოველგვარ წეს-ჩვეულების, რიტუალის, ასპარეზის, ცხენოსნობის, ცეკვის და სხვა გართობა-თამაშობების აღწერით. სულხან-საბა ორბელიანმა შეადგინა სახისმეტყველებითი, ქართულ სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი „სიტყვის კონა“. თავიანთ თუ თარგმნილ თხზულებებში დიდი ადგილი უჭირავს მომავალი თაობის ზნეობრივ პრინციპებზე აღზრდის საკითხებს. ეს იყო ერის თვითმყოფადობის შენარჩუნების, თვითგადარჩენის და განვითარების მიზნით მოძებნილი განსხვავებული, დამაფიქსირებელი ფორმა. ყოველი შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოები და მათი სახისმეტყველება მიზანმიმართულად მხატვრული ღირებულების და ღრმა შინაარსის მატარებელია.

ქართული ხალხური ცეკვის ისტორიული არქივი ხელოვანთა უშრეტ წყაროს წარმოადგენს, რომელიც გამუდმებით საინტერესო ინტერპრეტაციისა და შემოქმედებითი მრავალფეროვნების საშუალებას იძლევა. თითოეულ მოცემულ ინფორმაციას ჩვენი დროის საჭირო მასალად მივიჩნევთ. მათი ფორმაცვალებადობით და სახეცვალებადობით ვიღებთ ვიზუალურ შემოქმედებით სასცენო, როგორც მასობრივ საკონცერტო, ასევე საოპერო, საბალეტო, დრამატულ თეატრში განხორციელებული პლასტიკისა და ცეკვის სახით, ვარიანტების ნიმუშებს, რაც ადასტურებს ქართული ხალხური ცეკვის ფორმა-სახეცვალებადობის საფუძველზე მის სიცოცხლისუნარიანობის, დროში ადაპტირების, მისი განვითარების საკითხს.

ქართული ხალხური ცეკვის სახეცვალებადობა – ეს არის ცოცხალი პროცესის დამახასიათებელი უნივერსალური უნარი, განვითარების ახალი ნიშნის მისაღებად, ანუ გარემოებებიდან გამომდინარე, შესწევს უნარი შეითვისოს ახალი თვისებები.

კულტურის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მსოფლმხედველობა ცვლიდა ადამიანის აზროვნებას და სხვადასხვა საკითხთა მიმართ მის დამოკიდებულებას, რის საფუძველზეც ბუნებრივად ხდებოდა რიტუალების ცვალებადობრივი გადანაცვლება ან ჩართულობა ერთი პროცესიდან მეორეში. საბრძოლო შინაარ-

სის ზოგიერთმა სართულიანმა ფერხულმა სახეცვალებადობა განიცადა და სარიტუალო პროცესში ჩართულმა სართულის პრინციპმა მისტიკური და ცრუ რწმენათა ფუნქცია შეიძინა. მაგალითად, თუშეთში დღემდე შემორჩენილი, ხატობაში ჩაბმული ფერხულის წინასწარმეტყველებითი არსის მატარებელი საცეკვაო ქმედება „ქორბეღელა“. ადგილობრივების წარმოდგენით, სართულიანი მსვლელობა მარჯვედ უნდა შესრულებულიყო, არ უნდა დაშლილიყო და არეულიყო მეფერხულეთა ტექსტი, ფეხი; ვინაიდან ის მათთვის ცუდის მიმანიშნებელი იქნებოდა.

სვანური მონადირული ფერხული „ლემჩილი“, რომელმაც სახეცვალებადობის შედეგად თავი დაიმკვიდრა ვაჟის დაბადების რიტუალთა რიგებში, აგრეთვე მზის ფერხული „ლილე“ საქორწილო და ღვინოში შესასრულებელ ფერხულად გარდაიქმნა, საბრძოლო ხასიათის ფერხულმა „ფარცა-კუკუმ“ სასცენო ჟანრობრივი ცვალებადობა განიცადა, ცეკვა „ძაბრა“ დღესდღეობით საფერხულო წყობის თეატრალიზებული ცეკვა-თამაში „ჯანსულოს“ სახელითაა ცნობილი. მსგავსი მაგალითები ვრცელდება სხვადასხვა რეგიონშიც, ასევე ხალხური ცეკვების ჟანრობრივი სახეცვალებადობებიც ხასიათდება დროში მორგების მიზნით.

ავთანდილ თათარაძე აღნიშნავს „[...] სვანეთის ყოფა-ცხოვრებაში ზოგჯერ ადგილი აქვს იმ ფერხულების შესრულების ფაქტებსაც, რომლებსაც ადრე სრულიად განსხვავებული შინაარსი გააჩნდათ, ხოლო შემდეგ დაკარგეს რა ცხოვრებისეული მნიშვნელობა და მხოლოდ გართობა-თამაშობის სახით შემორჩინენ სვანურ ხალხურ ქორეოგრაფიას“.<sup>3</sup>

რიტუალური საფერხულო ბლოკების პარალელურად, არსებული საყოფაცხოვრებო ცეკვები ავითარებდა საცეკვაო ხელოვნებას, მატებდა ახალ ინტერპრეტაციებს და გართობის მიზნით სანახაობრივი წარმოდგენების პოპულარიზაციას ეწეოდა.

აგრეთვე, საინტერესო ვარაუდია საყოფაცხოვრებო ხასიათის ცეკვების, ცალკეულ პირთა ან წყვილთა მიერ შესრულების დამოუკიდებელ ფორმად წარმოშობის შესახებ. ავთანდილ თათარაძის აზრით, ისინი წარმოიშვნენ იმ ფერხულების საფუძველზე, რომლებსაც ახასიათებდათ – „ფერხულის შიგნით, ერთი ან ორი

<sup>3</sup> თათარაძე, ქართული, 2010, გვ. 18.

მოთამაშე“.<sup>4</sup> ესე იგი მიმდინარე პროცესისას მონაწილეთა, ფერხულის შიგნით „თამაშისადმი“ ინტერესის გაზრდამ, თავის წარმოჩენის, საშემსრულებლო ოსტატობის დახვეწის, ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლინების მიზანმა, „ფერხული“ სტატიკურ მდგომარეობაში გადაიყვანა, რომელსაც სოლისტისა და ანტურაჟის ფუნქციების გადანაწილება დაედო საფუძვლად. ამ საყურადღებო

მოვლენამ, „ანტურაჟისა და სოლისტის“, „მასისა“ და „ინდივიდის“ გამიჯვნამ, როგორც განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლის დამადასტურებელმა ფაქტმა, კიდევ უფრო გააღრმავა საცეკვაო ხელოვნების დროში ადაპტაციის საკითხი, რამაც მასში ახალი ნიშნების წარმოშობის, შეტანის, დაფიქსირების შესაძლებლობა გააჩინა და მომავალში შემოქმედებითი პროცესის შეუჩერებლობა გამოიწვია. მსგავსმა ქმედებამ სახელოვნებო სფეროს განვითარებისთვის, პირველი – საცეკვაო ხელოვნების (საშემსრულებლო ტექნიკის) და მეორე, ახალი ფორმების დანერგვის საშუალება გამოავლინა.

ბუნებაში არსებობს მემკვიდრეობითი და არამემკვიდრეობითი ცვალებადობრივი მოვლენა.<sup>5</sup> დღესდღეობით, ჩვენ მიერ ხელმისაწვდომად არსებული ქართული ფოლკლორული ცეკვის ბაზის მიხედვით, პირველ ჯგუფში, მემკვიდრეობით სახეცვალებადობაში შეგვიძლია თავი მოვუყაროთ რიტუალებთან დაკავშირებულ ნიმუშებს. საუბარია მზისა და მთვარის კულტთან თაყვანისცემის ფუნქციის გამომსახველ, მონადირულ და ასტრალურ სხეულთა თაყვანისცემის, საბრძოლო და სარიტუალო შინაარსობრივი დატვირთვის მატარებელ, აგრეთვე პატრიოტულ, განაყოფიერების, საყოფაცხოვრებო შინაარსის, ბავშვის დაბადებისადმი მიძღვნილ, ავადმყოფობის დროს, მიცვალებულის სულის მოსახსენიებელ რიტუალების ჩატარებასთან დაკავშირებულ ფერხულებზე.

ადამიანის ცნობიერების ახალ ეტაპზე გადასვლამ, ანუ ქრისტიანობის შემოსვლამ ახალი სახეებით და მოვლენებით ჩანაცვლება გამოიწვია, მაგრამ შექმნილი ახალი ნიშნებისა და ელემენტების მიუხედავად, რიტუალთა შესრულების წესი, რეგიონული ადგილმდებარეობა, მისი დანიშნულება, მისი ბუნებრიობა უცვლელი

<sup>4</sup> იქვე, თათარაძე, ქართული, 2010, გვ. 18.

<sup>5</sup> Ненаследственная, организмов.

დატოვა და უმრავლესი მათგანი მემკვიდრეობით დღემდე გად-  
მოიცემა. ყოველივე ეს კი, იმის მანიშნებელია, რომ ფერხულების  
ბუნებრივი სახეცვალებადობა ყოველი დროის ადაპტირების მაჩ-  
ვენებელია, თავისი ფორმის შენარჩუნებით.

არამემკვიდრეობით ჯგუფში თავს იყრის სადადგმო პრინციპე-  
ბით აგებული ის ფოლკლორული ცეკვები და მითოლოგიური თე-  
მები, რომლებიც ტრანსფორმირებულად, ვარიაციების სახით სას-  
ცენო სივრცეში არიან წარმოდგენილნი. ამ სივრცეში მოხვედრი-  
სას, შემოქმედებითი პროცესი მასში ავლენს ახალ ნიშნებს. აქ მათ  
სასცენო კანონების დაცვით, შემსრულებელთა რაოდენობისა და  
ქრონომეტრაჟის გათვალისწინებით გადმოცემის ფორმა ეცვლე-  
ბათ, მაგრამ სარეპერტუარო ან სასპექტაკლო შინაარსიდან, თე-  
მიდან გამომდინარე, მისი დანიშნულება და არსი უცვლელი რჩე-  
ბა. ანუ გარემო ფაქტორების ქვეშ მოხვედრილი გადამუშავებული  
მასალის გენეტიკური წარმომავლობითი კოდი უცვლელია და  
არსებულის არამემკვიდრეობით სახეცვალებადობა გადმოცემის  
ახალი ფორმით ხასიათდება. ხელოვანთა ფანტაზიის საფუძველზე  
ვიღებთ ფოლკლორული ცეკვის სასცენო ვარიანტებს, რომლებ-  
საც დღესაც ვხვდებით ცალკეულ ნომრად, თეატრალურ, საოპერო  
თუ საბალეტო სასპექტაკლო რეპერტუარებში. ამგვარი მოვლენის  
მოცემული ნიშნებიდან მიღებული ცვლილებების მოდიფიკაცირე-  
ბა არ არის მემკვიდრეობითი, ის მხოლოდ კონკრეტული ავტორის  
ფანტაზიის ნიმუშად გვევლინება – ფიქსირდება კონკრეტულად,  
როგორც დამდგმელი ქორეოგრაფის ფოლკლორულ მასალაზე  
დაყრდნობით შემოთავაზებული ერთ-ერთი სასცენო-სანახაობი-  
თი ვარიანტი. ყველა, ქართული ხალხური ცეკვის არამემკვიდრე-  
ობითი და მემკვიდრეობითი სახეცვალებადობრივი ნიმუშები ქარ-  
თულ არამატერიალურ კულტურულ ღირებულებას წარმოადგენს.

ეგროპისა და აზიის გასაყარზე მყოფი ქართული ხელოვნება  
იძენდა მისთვის მისაღებ რესურსებს, რომელთა საფუძველზეც  
ყალიბდებოდა ქართული სასცენო სანახაობრივი ვიზუალის ესთე-  
ტიკური ფორმით გადაწყვეტის მნიშვნელობა. ქართული საცეკვაო  
ხელოვნებისადმი მაყურებელთა დაინტერესებამ ძლიერი ბიძგი  
მისცა ხელოვანთ მასობრივ-სანახაობრივი სფეროს დახვეწა-გან-  
ვითარებისთვის და ორმხრივად გაჩნდა ამ წარმოდგენების მრავ-  
ალჯერ გამართვის სურვილი. „XIX საუკუნის პირველ ნახევარში

თეატრალური ცხოვრება მოიცავს მთელ საქართველოს. თბილისში იმდენად განვითარებულია თეატრი, რომ სანახაობის სხვადასხვა ფორმები წარმოქმნილა“.<sup>6</sup> 1845 წელს ლევან მელიქიშვილი გრიგოლ ორბელიანს წერდა: „...აქ მალ-მალე ტანცაობა აქვთ, და იარებიან ხან თეატრში, ხან ვოლტიურებთან აკრობატების სანახავად, ხან მექანიკურ თეატრში, და ძაღლების კომედიაც არის. წარმოიდგინე სამივე ამ გართობას, კვირაში სამ-სამჯერ წარმოდგენა აქვს და მუდამ ხალხით სავსეა“.<sup>7</sup> მსგავსი ცნობები, მოგონებები, ჩანაწერები და წერილები გვაუწყებენ, რომ წარმოდგენები იმართებოდა სასახლეებში დარბაზობის დროს, აგრეთვე მესხიშვილების, მელიქიშვილების, ორბელიანების სახლებში, სხვადასხვა თავშეყრის ადგილებში, ბანებსა თუ ქუჩებში.<sup>8</sup> მაყურებელთა ინტერესებიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარე, ხალხურმა ცალკეულ ნომრად ქცეულმა ცეკვებმა სახეცვალებალობა და ფორმაცვალებალობა განიცადა.

XX საუკუნის დასაწყისში ერევნის მოედნისა და გოლოვინის პროსპექტს შორის მდებარეობდა სათავადაზნაურო თეატრი (დღევანდელი ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრი), რომელშიც ხშირად იმართებოდა წარმოდგენები, კონცერტები. ასეთ ერთ-ერთ გამართულ კონცერტის შესახებ, შენიშვნის სახით, საყურადღებო განცხადებას გვაუწყებს იმ დროინდელი გაზეთი „ცნობის ფურცელი“. ამ გაზეთიდან ამონარიდს გვაწვდის ლილი გვარამაძე: „ტბილისის სათავადაზნაურო თეატრში გაიმართება კონცერტი, რომელშიც იმღერებს გურულ ტანსაცმელში გამოწყობილი ხორო გურულს, ქართულს, იმერულს, მეგრულს და კახურ სიმღერებს. მათ შორის აღასრულებს ორსართულიან ფერხულს და მეგრულ ნადურს თოხნით ისე, როგორც ნამდვილ ყანაში. ბ. ქორიძის ლოტბარობით“.<sup>9</sup>

ფოლკლორული ცეკვის ნიმუშების ტრადიციული შესრულების, მემკვიდრეობით გადმოცემის, შეგროვების, შენახვის მეთოდებს, XX საუკუნეში განსხვავებული ორიგინალური განვითარების ახალი რესურსები დაემატა და ისინი არამემკვიდრეობით სახეცვალებალობრივ ჯგუფში მოექცნენ. ქართული ქორეოგრაფია აქტიურად

<sup>6</sup> კიკნაძე, ქართული, 1982, გვ. 25.

<sup>7</sup> რუხაძე, ძველი, 1949, გვ. 79.

<sup>8</sup> აბრამიშვილი, ძველი, 1925, გვ. 25.

<sup>9</sup> გვარამაძე, ქართული, 1997, გვ. 27.

ერთვებოდა თანამედროვე ტენდენციებში, სხვადასხვა ჟანრსა თუ მიმართულებაში. ხელოვანთა აქტივობამ განაპირობა ხალხური ცეკვის სასცენო სისტემაში მორგება, მოქცევის მცდელობები. მაყურებლის მოთხოვნების გათვალისწინებით კონკრეტულად აქტუალური გახდა ქორეოგრაფიულ დადგმაში მხატვრულ-სანახაობრივად გადაწყვეტის ხერხების ძიება, რომელიც საცეკვაო ხელოვნების პროფესიულ საფეხურზე ასვლის შედეგად ღირებულად წარმოჩინდა ფართო საზოგადოების მიმართ.

XX საუკუნის 20-იან წლებში გამოჩნდნენ ახალგაზრდა რეჟისორები - კოტე მარჯანიშვილი და სანდრო ახმეტელი. ისინი არამარტო დრამატული თეატრის რეფორმატორებად და ახალი თეატრალური ეპოქის ფუძემდებლად, აგრეთვე ქორეოგრაფიული სპექტაკლების შეუდარებელ შემქმნელ ოსტატებადაც მოეწივნენ ქართულ ხელოვნებას. მარჯანიშვილის მოწოდებები ზურგს უმაგრებდა ახალი ჯანსაღი, ქართული ნაციონალური, თეატრალური კულტურის შენებას.

„მსახიობებს, მწერლებს, პოეტებს, მხატვრებს, მოქანდაკეებს და მუსიკოსებს – ასე მიმართავდა მარჯანიშვილი ყველას - ჩვენ ვართ მშენებლები კულტურისა და, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ეროვნული კულტურისა, მისი ენისა, მისი ნაციონალური თავისებურებისა და ტემპერამენტისა“.<sup>10</sup>

1922 წელს რუსეთიდან დაბრუნებულ კოტე მარჯანიშვილს თან ჩამოჰყვა ბალერინა დებოლსკაია და ბალეტმაისტერი ფუტდკინი. მან 1926 წელს დადგა პანტომიმა - ბალეტი „მომავადობელი სინათლე“. ახმეტელთან და დამდგმელ ქორეოგრაფ სერგეევთან ერთად წარმოადგინა სპექტაკლი „მზეთამზე“, ეს იყო ქართული ბალეტის საძირკველი. „...მასში ცეკვა იყო არა დამხმარე, არამედ მთავარი კომპონენტთაგანი. „ქართული“ და „დავლური“ სიუჟეტისგან ვითარების ისეთი ხატოვანი მიზანსცენის ფუნქციას ასრულებდნენ, როგორსაც სრულყოფილი საოპერო ნაწარმოებში ამრიდან გამომდინარე, სიუჟეტის შემადგენელი იერსახოვანი არია და დუეტი წარმოადგენს ხოლმე“<sup>11</sup> – აღნიშნავდა ოთარ ეგაძე.

მომდევნო ბალეტი – პანტომიმა „ხანძარი“ დაიდგა ქუთაისის თეატრში. ეს იყო მიმოდრამა, რეალისტური ტრაგედია, რომლის

<sup>10</sup> ეგაძე, ქართული, 1961, გვ. 15.

<sup>11</sup> იქვე, ეგაძე, ქართული, 1961, გვ. 33.

ქორეოგრაფი დავით მაჭავარიანი გახლდათ. მათ მიერ დასახული ამოცანა მკვეთრი და რადიკალურად განსხვავებული ფორმების ძიებას ემსახურებოდა და ეწინააღმდეგებოდა არსებული სახეების ყოველგვარ განმეორებებს. „[...]არ უნდა შეიგნონ, რომ როცა თანამედროვეობას ფეხდაფეხ მივდევთ, ნაციონალურ კულტურასაც ვავითარებთ. ეს კი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბაბუის ზღაპრების ერთხმად გადამღერება...“<sup>12</sup> – აღნიშნავდა კოტე მარჯანიშვილი.

ხალხური ცეკვის სახეცვალებადობა განსაზღვრავს ძველი და ახალი ფორმის აუცილებლობას, დროში მორგების ადაპტაციის მიზნით. სასცენო გამომსახველობით ფორმაში მოქცეული ხალხური ცეკვები საოპერო, საბალეტო და თეატრალურმა ხელოვნებამ ახალ მისთვის განსხვავებულ ფაზაში გადაიყვანა, რომლებშიც ხალხური ცეკვის ელემენტებმა კლასიკური სახეცვალებადობა შეიძინა და ორიგინალურად წარმოჩინდა.

„[...] ჩვენ, ბალეტმაისტერებმა და რეჟისორებმა ღრმად და საფუძვლიანად უნდა შევისწავლოთ ხალხური ქორეოგრაფიული შემოქმედება, ვისწავლოთ ხალხისგან, ავავსოთ ჩვენი ბალეტი დრამატული შინაარსით, ვაშენოთ იგი მძაფრ სიუჟეტურ ქარგაზე, რომელიც

ასე დამახასიათებელია ხალხური ცეკვებისათვის – წერდა ჭაბუკიანი და სჯეროდა, რომ მხოლოდ ხალხური ცეკვების სულში ჩაწვდომით შეიძლებოდა ნამდვილი საბალეტო სპექტაკლების შექმნა“.<sup>13</sup> – იხსენებს ოთარ ეგაძე.

საოპერო და საბალეტო სპექტაკლისათვის, ფოლკლორული მასალის სასცენოდ დამუშავების სპეციფიკა დაეყრდნო კლასიკურ საბალეტო სისტემას, შესრულების, მანერის და კლასიკური მუსიკის ტონალობათა თავისებურებებს. ამგვარმა ფორმაცვალებადობამ და სახეცვალებადობამ ახალი კუთხით წარმოუდგინა მაყურებელს მისთვის ნაცნობი ინფორმაცია, რამაც მასში, მაყურებელში, სიახლის მიღების განცდა წარმოშვა.

„ბუნებრივია, ვმუშაობთ რა პირველ ქართულ ბალეტზე, ჩვენ ამოცანად ვისახავდით შეგვექმნა მწყობრი, მთლიანი, დრამატულად მძაფრი, სიუჟეტურად გააზრებული საცეკვაო სპექტაკლი.

<sup>12</sup> იქვე, ეგაძე, ქართული, 1961, გვ. 28.

<sup>13</sup> იქვე, ეგაძე, ქართული, 1961, გვ. 21.



ხალხური ცეკვის ელემენტები ღრმად არიან გადახლართული სპექტაკლში კლასიკურ ცეკვებთან საჭირო მომენტებში ერთის, ან მეორის უფრო წინ წამოწევით“.<sup>14</sup>

ქართული ხალხური ცეკვის ხელოვნების განვითარება ვერცერთმა შექმნილმა პრობლემამ და ბარიერმა ვერ შეაჩერა, მასში არსებული თვითმყოფადობისა და მაღალმხატვრული ღირებულებების გამო. მისი ფორმაცვალებადობა და სახეცვალებადობა ამტკიცებს მის სიცოცხლისუნარიანობას, განვითარება კი დროში ადაპტაციის მაჩვენებელია თავისი ნიშან-თვისებების შენარჩუნებით.

როგორც აღვნიშნეთ, ქართული ხალხური საცეკვაო ხელოვნება ერთგვარი საცავია იმ ინფორმაციის, განათლებისა და კულტურის, რომელსაც ქართველი ერი, მისი ისტორიის განვითარების პროცესისას, საუკუნეების მანძილზე თანდაყოლილად იძენდა და აგროვებდა.

ის წარმოადგენს ესთეტიკური ფორმის ღრმა შინაარსის ჰარმონიულ ერთობლიობას, ეროვნული თვითშეგნების ამაღლების, პატრიოტული გრძობის გაღვივების, მაღალი ზნეობრივი პრინციპებისთვის ბრძოლის, ქართული ტრადიციებისა და სიწმინდის დაცვის მიზნით. მაშასადამე, ქართული ხალხური ცეკვა არის ცოცხალი ორგანიზმი, რომელსაც გააჩნია სახეცვალებადობის და ფორმაცვალებადობის უნარი, რის შედეგად დროში ადაპტირდება.

#### ბიბლიოგრაფია:

- თანდაშვილი მ., „მეხსიერება და მისი ფორმები“, <http://tandaschwili.com/thema->
- უჩა მურღულია ბლოგი. ვახტანგ VI (ლ. მენაბდე), <http://umurgulia82.blogspot.com/2018/05/vi.html>.
- თათარაძე ა., „ქართული ხალხური ცეკვა“, თბილისი, 2010, გვ. 18.
- Ненаследственная И Наследственная Изменчивость, [http://www.public-liceum.ru/files/File/izmenchivost\\_organizmov.pdf](http://www.public-liceum.ru/files/File/izmenchivost_organizmov.pdf).

<sup>14</sup> იქვე ეგაძე, ქართული, 1961, გვ. 78.

- კიკნაძე ვ., „ქართული რეჟისორის ისტორიის ნარკვევები“, საქართველოს თეატრალური საზოგადოება, თბ., 1982.
- რუხაძე ტ., „ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია“, (ციტირებულია წიგნიდან), 1949.
- აბრამიშვილი მ., ძველი ქართული თეატრი, ქუთაისი, 1925.
- გვარამაძე ლ., „ქართული საცეკვაო ფოლკლორი“, მეორე გამოცემა, თბ. 1997.
- ეგაძე თ., ქართული ბალეტი (ქორეოგრაფიული ნარკვევები), ხელოვნება, 1961.

## **THEATROLOGY**

**Nino (Nutsa) Kobaidze,**

Shota Rustaveli Theater and Film Georgia State University

Ph.D. Student

Supervisor – Associate Professor Marine (maka) Vasadze

## **WITOLD GOMBROWICZ – YVONNE PRINCESS OF BURGUNDY**

**Key Words:** *Witold Gombrowicz, post-dramatic theatre, Yvonne Princess of Burgundy*

### **Abstract**

Witold Gombrowicz's legacy challenges traditional norms, blending philosophical inquiry with satire and humor, influencing not only literature but also theater and philosophy. Despite facing initial controversy, his innovative works have garnered recognition for their profound exploration of human nature. Particularly acclaimed are Gombrowicz's plays and novels, which are frequently examined within the framework of post-dramatic literature and theater, signifying his substantial impact on 20th-century literature.

Gombrowicz's plays exhibit a hallmark of post-dramatic literature: the presentation of multiple perspectives. Through this technique, he constructs a mosaic that challenges the stability of characters, inviting the audience to engage actively and question unfolding events. His commitment to the post-dramatic principle is evident in his theatrical innovations, which break conventions and redefine traditional boundaries, transforming the stage into a dynamic space of exploration.

Gombrowicz's „Yvonne, Princess of Burgundy“ serves as a prime example for analyzing post-dramatic elements. Employing absurdity, non-linear narrative, and multiple perspectives, Gombrowicz makes a significant contribution to the evolution of post-dramatic literature. His exploration of absurdity, fragmentation, and multiplicity of perspectives aligns with the essence of the post-dramatic movement,

ushering in innovative storytelling techniques that push literature and theater beyond traditional dramatic forms.

In „Yvonne, Princess of Burgundy“, Gombrowicz offers a reinterpretation of the well-known „Cinderella“ story, merging his favored genres of grotesque, tragifarce, and parody. Through this fairy tale format, he conveys a poignant message about the brutality of governance and the propensity of the powerful to oppress the weak without just cause, often merely for their amusement.

The play „Yvonne, Princess of Burgundy“ has seen numerous stagings in various cities and countries, showcasing its universal appeal and adaptability. Renowned figures such as Swedish director Ingmar Bergman and Norwegian theater director Alf Sjöberg have each provided unique interpretations, highlighting the play’s ability to resonate across different cultural contexts. Additionally, composers Boris Blacher and Philip Bußmann created operatic adaptations, further expanding the play’s artistic expression. Productions by directors Alla Sigalova and Vladimir Mirzoev in the Russian theater scene have been praised for their modern and innovative approaches. These diverse adaptations not only honor Gombrowicz’s legacy but also enrich the global theater landscape, cementing the play’s status as a significant and enduring work in theatrical history.

In the words of the author himself, the discussed play explores themes of „liberation from theatricality“ and the futile rebellion against restrictive norms. Gombrowicz’s work embodies grotesque and parody, echoing elements of surrealism while maintaining a humorous distance from collective artistic movements. His poetic strategy revolves around intellectual provocation and scandal, embracing contradictions and mystifying the audience with absurdity. Through complex characters burdened by stereotypes, Gombrowicz crafts a collage-like world. He suggests that the essence of writing lies in „entering the realm of dreams“ and allowing the narrative to evolve „with its logic“. By adhering to the principles of dreams, writers seek to uncover insights into existential quandaries through the symbolism and myths inherent in „the dreams of humanity“.

Tamar Tsagareli,  
Shota Rustaveli Theater and Film Georgia State University  
Ph. D. Associated Professor  
Scientist-researcher of the Tbilisi Museums Union

## POSTMODERNISM IN PERSIAN PUPPET THEATRE

**Keywords:** *theatre, puppets, postmodern, Iran*

### Abstract

Iran's theatre space certainly boasts traditional performances, including puppet and marionette theatre, which is the area of greatest interest to the world's theatre universe.

Have you ever felt the eruption of puppet emotion on a stage or in a hall? Have you seen their plastic and amazingly beautiful gesticulation? Historical and religious events „resurrected“ by dolls, by the stage director of the puppet theatre of Tehran, „Aran“, Behrouz Gharib Pour.

Iran is the land of poems. These poems have reserved the myth world and Iranian beliefs of pre- and post-Islam, as well as their philosophical viewpoints. One thousand years ago, Ferdowsi, with his pure kind of art (language), preserved Farsi as one of the big and undeniable dimensions for the living of a culture, and in his great book „Shahnameh“, he made a true claim and believes that by creating this work of art, he has revived the culture, myths, and notions of Iranians. It is sometimes interpreted as a symbol of filicide, the contrast between old-thinkers and modern-thinkers, and sometimes as Rostam's selfishness and ignoring his father's kindness because he loses all humane feeling and just thinks of defeating his rival.

Therefore, the story of Rostam and Sohrab is the full-depicting mirror of power, love, ignorance, pride, wisdom, and unawareness of mankind and has been and will remain eternal.

Hafez's opera, a wonderful performance and ritual-dramatic spectacle, was implemented by Behrouz Gharib Pour. Tazieh's Persian passion, „Hafez's Opera“, was the stage director's inspiration, and exactly according to this opera, he moved indescribable scenographic colors into a beautiful puppet universe. It is mainly loaded with the

